

READER

ქართული, როგორც
პირობა ენა

წერა

ქართული, როგორც მეორე ენა

წერა

READER

წერის მოსამზადებელი ეტაპი

წერის პროცესი და ზოგადად წერის უნარის გამომუშავება ხანგრძლივი და შრომატევადი საქმეა. იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპისაგან შედგება. თითოეული მათგანის ცოდნა აუცილებელია საბოლოო სრულყოფილი წერილობითი ტექსტის შესაქმნელად. წერის პროცესი შედგება გააზრებული და გეგმაზომიერი ნაბიჯებისაგან, რომელთა დაუფლებაც შესაძლებელია სათანადო სამუშაოების ჩატარების შედეგად. გამართული ვრცელი წერილობითი ტექსტის შექმნას წინ უძღვის წერის მოსამზადებელი ეტაპი. მოსამზადებელი ეტაპი მოითხოვს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შესრულებას, რომლებიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავებას, დაკავშირებას, აღწერას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ტექსტის ლოგიკურ გამართვასა და დალაგებას.

შეიძლება ითქვას, რომ მოსამზადებელი ეტაპი, ერთი მხრივ, პირველ რიგში, გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, შეგროვებას, დახარისხებას და, მეორე მხრივ, საანალიზო ტექსტის დამუშავებას.

თქვენთვის საჭირო და თემატური ინფორმაციის მოგროვება შესაძლებელია რამდენიმე გზით: კონსულტაცია, სახელმძღვანელო, მონოგრაფია, ჟურნალები, სხვადასხვა ტიპის კვლევები, ბიბლიოთეკები, ინტერნეტი და ა. შ. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავება, დახარისხება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა. ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს გონებრივი იერიშის მეთოდი, ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული იდეების ჩამოწერა, ხოლო შემდეგ ლოგიკურად გადალაგება, დაჯგუფება მნიშვნელობის მიხედვით.

წერის სტილი

წერილობითი ტექსტის შექმნისას ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ წერთ, როგორ აგებთ წინადადებებს და რა ლექსიკურ ერთეულებს იყენებთ.

გახსოვდეთ, წერეთ მარტივი წინადადებებით. რთული კონსტრუქციების გამოყენებისას, შესაძლოა, დაუშვათ ენობრივი შეცდომები და მთავარი სათქმელიც მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელი და ბუნდოვანი გახდეს.

აზრი უნდა გადმოსცეთ ნათლად და კონკრეტულად, რათა მკითხველს არ დარჩეს უკმარისობის გრძნობა.

მოერიდეთ ზედმეტ ტერმინოლოგიას.

მოერიდეთ ჟარგონებსა და ბარბარიზმებს.

ეცადეთ, წეროთ გამართული სალიტერატურო ენით.


წერისას არ უნდა იყოთ კატეგორიულები და არ უნდა გქონდეთ მენტორული ტონი.

სავარჯიშო:

- პირველ ეტაპზე ჩამოწერეთ 10 ზედსართავი სახელი და 10 ზმნა მოცემულ თემებზე.
- მეორე ეტაპზე ააგეთ წინადადებები (მაქსიმუმ 10 წინადადება) ჩამოწერილი ზმნებისა და ზედსართავი სახელების გამოყენებით.
 1. თბილისი - საქართველოს დედაქალაქი
 2. ჩემი ოჯახი
 3. ჩემი საუკეთესო მეგობარი

სავარჯიშო:

აღწერეთ სურათი და შექმენით პატარა ტექსტი 5-6 წინადადებით:



სავარჯიშო:

აღწერეთ სურათი და შექმენით პატარა ტექსტი 5-6 წინადადებით:



სავარჯიშო:

დაალაგეთ ტექსტი ლოგიკური თანმიმდევრობით:

	პირველი საათი, რომელიც ადამიანმა გამოიგონა, მზისა იყო, გენიალურად მარტივი კონსტრუქციით - მიწაში ჩარჭობილი ჯოხითა და მის გარშემო დახატული ციფერბლატით. ისრის როლს ასრულებდა ჯოხის ჩრდილი.
	შემდეგ, დაახლოებით ათასი წლის წინ, ქვიშის საათი შექმნეს. მაგრამ ეს საათი დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთის, მაქსიმუმ ნახევარი საათის, გაზომვას ახერხებდა.
	მაგრამ მზის საათის ლოგიკური ნაკლი ის იყო, რომ ავდარსა და შენობაში

	გამოუსადეგარი იყო.
	ევროპაში პირველი მექანიკური საათები მონასტრების კომპლექსებში მეთერთმეტე საუკუნეში გამოჩნდა.
	მაჯის საათები პირველად მეცხრამეტე საუკუნეებში შექმნეს მხოლოდ ქალებისთვის. ეს საათები ძვირფასი თვლებით იყო მორთული.
	ამის გამო ოთხი ათასი წლის წინ პუნქტუალობის მოყვარულმა ადამიანებმა წყლის საათი გამოიგონეს. პირველი მალვიძარაც სწორედ წყლის საათს ჰქონდა.
	როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არ არსებობდეს საათი, მალვიძარა და დღის გრაფიკი? საათის შექმნას დიდი ისტორია აქვს.

ლექსიკონი:

ავდარი - ცუდი ამინდი

გამოუსადეგარი - ის, რასაც ვერ გამოიყენებ, რასაც არ აქვს ფუნქცია

სავარჯიშო:

გონებრივი იერიში

- ჩამოწერეთ იდეები მოცემულ თემასთან დაკავშირებით;
 - დააჯგუფეთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;
 - დაალაგეთ იდეები ლოგიკური თანმიმდევრობით:
1. დღეს უცხო ენის სწავლა აუცილებელია;
 2. მოგზაურობა დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა;
 3. ინტერნეტის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია;
 4. გარემოს დაბინძურება თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა;
 5. მოწვევა უნდა აიკრძალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

A series of horizontal lines for writing, consisting of 30 evenly spaced lines across the page.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი :

მოიპოვეთ ინფორმაცია მოცემულ თემებთან დაკავშირებით, დააჯგუფეთ და დაახარისხეთ, გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია:

1. ჭარბწონიანობა
2. სტრესი ყოველდღიურ ცხოვრებაში
3. მოდა
4. თანამედროვე ტექნოლოგიები
5. ყვითელი პრესა

ტექსტზე მუშაობა

წერის მოსამზადებელი პროცესის მეორე ეტაპია ტექსტზე მუშაობა. პირველ რიგში, აუცილებელია მოცემული ტექსტის კარგად გააზრება, თქვენ უნდა უპასუხოთ შემდეგ შესაძლო შეკითხვებს:

- რის შესახებ არის ტექსტი?
- რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?
- სად ხდება მოქმედება?
- როდის ხდება მოქმედება?
- რომელ სოციალურ ფენას ეხება ინფორმაცია?
- ვინ არის ტექსტში გადმოცემული ამბის მთავარი გმირი?
- კონკრეტულად ვის ეხება ინფორმაცია?
- ვისთვის არის განკუთვნილი მოცემული ინფორმაცია?
- გამოიყოფა თუ არა ტექსტში მთავარი და მეორე ხარისხოვანი ინფორმაცია?

რაც მთავარია, თქვენ უნდა შეგეძლოთ მოკლე შინაარსის გადმოცემა, დაახლოებით 3-5 წინადადებით. გაითვალისწინეთ, რომ ვრცელი ინფორმაციის შემოკლება არც ისე ადვილია, ამაში თქვენ დაგეხმარებათ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფის მეთოდი, ანუ ვრცელი ტექსტის შემოკლებისას უნდა გამოიტანოთ მხოლოდ მთავარი, არსებითი ინფორმაცია, ის, რის შესახებაც არის აქ საუბარი, ამ შემთხვევაში არ უნდა გაგიტაცოთ ერთი შეხედვით მომხიბვლელმა, მაგრამ უმნიშვნელო დეტალებმა.

თუმცა, ტექსტის კარგად გასააზრებლად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, თქვენ უნდა შეგეძლოთ მისი შეფასებაც. ამაში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:

- რა იყო თქვენთვის საინტერესო მოცემულ ტექსტში?
- მოგეწონათ თუ არა საანალიზო ტექსტი და რატომ?
- როგორ შეაფასებდით აღწერილ მოვლენას?
- როგორ დაახასიათებდით ტექსტის მთავარ გმირს?
- რა იცით დამატებით საანალიზო ტექსტში მოცემულ თემასთან დაკავშირებით?
- გჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია?
- კონკრეტულად რა ტიპის დამატებითი ინფორმაცია გჭირდებათ?

აღნიშნული კითხვები დაგეხმარებათ, ერთი მხრივ, ბოლომდე გაიაზროთ ტექსტი, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიმუშავოთ თქვენი პოზიცია, დამოკიდებულება და ადეკვატურად შეაფასოთ იგი.

სავარჯიშო:

წაიკითხეთ ტექსტი და წერილობით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:



იაკობ გოგებაშვილი

ცნობილი მოღვაწე, პედაგოგი, დედა ენის ავტორი

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს კი — კიევის სასულიერო აკადემიაში. პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1863 წელს სამშობლოში ჩამოვიდა. 1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად მუშაობდა. ამავე დროს, იგი დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. გოგებაშვილის პროგრესულმა პედაგოგიურმა მუშაობამ მეფის ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს იგი წავიდა თანამდებობიდან.

ამის შემდეგ გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღვაწეობას მიუძღვნა.

გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნისთვის საქართველოში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები. „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „დედა ენა“ (1876), „რუსკოე სლოვო“ (1887), დღესაც ქართული სკოლების დაწყებითი კლასებში მოქმედი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები იაკობ გოგებაშვილის დედა ენის პრინციპზეა შექმნილი.

იაკობ გოგებაშვილი ბევრს ფიქრობდა ბავშვებზე და ის იყო პირველი მწერალი რომელმაც დაიწყო წერა სპეციალურად ბავშვებისათვის. ის თავის მოთხრობებში იყენებდა ქართულ ფოლკლორს, ანდაზებს. სწორედ ანდაზების საფუძველზეა შექმნილი მოთხრობები: “ქურდი და მამალი”, “მერცხალი და მეცხვარე”, “ცხვარი და მარტი” და სხვა. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებში ბავშვისთვის ცოცხალი და ახლობელი ხდებოდა ბუნება, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო. ამ თემატიკაზეა შექმნილი მოთხრობები: “დევილი მეგობარი”, “ბედურა”, “ლომი”, “მერცხალი”, “აქლემი”, “ორაგულის ცხოვრება”, “ნამი”, “ცისარტყელა” და სხვ. იაკობ გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა“ მოზარდებს ასწავლის ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას.

იაკობ გოგებაშვილი იყო დიდი ქველმოქმედი. მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, პოეტებს, მწერლებს და სხვებს, სისტემატურად უზრუნველყოფდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს. იაკობ გოგებაშვილის საფლავი არის მთაწმინდის პანთეონში.

1940 წელს აღინიშნა გოგებაშვილის დაბადების 100 წლის იუბილე. 1976 წელს ჩატარდა „დედა ენის“ 100 წლისთავის იუბილე.

ლექსიკონი:

- მოღვაწე - ადამიანი, რომელმაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა
- სასულიერო სასწავლებელი - ადგილი, სადაც ასწავლიან რელიგიურ მოძღვრებას და სხვა საგნებს
- მეფის ხელისუფლება - მეფის მმართველობა
- საზოგადო მოღვაწეობა - საზოგადოებრივი, სახალხო საქმიანობა

შეკითხვები:

- ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი?
- რომელ წელს დაიბადა იაკობ გოგებაშვილი?
- სად სწავლობდა იაკობ გოგებაშვილი?

- რა იყო იაკობ გოგებაშვილის პროფესია?
- სად მუშაობდა იაკობ გოგებაშვილი?
- რატომ წამოვიდა სამსახურიდან იაკობ გოგებაშვილი?
- რა წიგნები შექმნა (დაწერა) იაკობ გოგებაშვილმა?
- იყო თუ არა იაკობ გოგებაშვილი ქველმოქმედი?
- ვის ეხმარებოდა იაკობ გოგებაშვილი?
- სად არის იაკობ გოგებაშვილის საფლავი?
- როდის აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის იუბილე?
- რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა იაკობ გოგებაშვილი?
- როგორ შეაფასებთ იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობას?
- იაკობ გოგებაშვილის რომელი მოთხრობა გახსოვთ? რას ეხება იგი?

სავარჯიშო:

დაასათაურეთ ტექსტი, უპასუხეთ შეკითხვებს

მამლუქი არაბული სიტყვაა და ნიშნავს პირს, რომელიც ვინმეს ეკუთვნის. მამლუქები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თეთრკანიანი მონები იყვნენ. თეთრკანიან ბავშვებს მაჰმადიანი გამგებლები ყიდულობდნენ, ავარჯიშებდნენ და მათგან ყველაზე ბრძოლისუნარიან სამხედრო ჯარებს აყალიბებდნენ. მამლუქებს მეცხრე საუკუნის შუა წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში ერთ-ერთ მთავარი როლი ჰქონდათ. მამლუქები განსაკუთრებით ძლიერები იყვნენ აუბიანთა დინასტიის მმართველობის დროს, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი მეფე სალაჰ ად-დინი, იგივე სალადინი (1171-1193 წლები). სწორედ სალადინი ედგა სათავეში მუსლიმთა ბრძოლას ჯვაროსნების წინააღმდეგ.

მამლუქების ლაშქარში მცირე რაოდენობით ჩერქეზი და ქართველი მამლუქებიც იყვნენ. 1250 წელს მამლუქები აჯანყდნენ და ეგვიპტის მმართველები გახდნენ. მამლუქები იყვნენ ერთადერთი ძალა, რომლებმაც მონღოლები დაამარცხეს.

ლექსიკონი:

გამონაკლისი - ის, რაც არ მიყვება წესს
გამგებელი - ის, ვინც მართავს, განაგებს
ბრძოლისუნარიანი - ის, ვისაც შეუძლია ბრძოლა
სათავეში ედგა - მართავდა

შეკითხვები:

- ვინ იყვნენ მამლუქები?
- რომელ ქვეყანაში ცხოვრობდნენ მამლუქები?
- რა წარმატებებს მიაღწიეს მამლუქებმა?

სავარჯიშო:

მოკლედ გადმოეცით ტექსტის ძირითადი შინაარსი (3-4 წინადადება), რის შესახებ არის ტექსტში საუბარი? ტექსტი დაასათაურეთ.

სიტყვა „შოკოლადი“ კაკაოს მარცვლებისგან დამზადებული სასმელის - "ჩოკოლატლის" დასახელებიდან მომდინარეობს. აცტეკების ენაზე "ჩოკოლი" "სიმწარეს" ნიშნავს, ხოლო "ატლი" - "წყალს", რომლისგანაც შოკოლადის სასმელი მზადდება.

დღევანდელი ჩოკოლატლიში არის: კაკაოს ფხვნილი, რძე, შაქარი, დარიჩინი, მწარე წიწაკა და ზოგჯერ, ვანილი.

შოკოლადის ისტორია ძალიან ადრე დაიწყო, დაახლოებით 3000 წლის წინ. დაახლოებით 1000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მექსიკის ყურეში ოლმეკების ცივილიზაციის შემდეგ მაიას ტომებმა გააგრძელეს ტრადიცია და სწორედ მათ ეკუთვნით ველური კაკაოს ხის კულტივირება.

მაიას ტომების გაქრობის შემდეგ შოკოლადის მომზადების ტრადიცია აცტეკებმა განაგრძეს. აცტეკები შოკოლადში ურევდნენ შაქარს, ვანილს, თაფლსა და დარიჩინს. შოკოლადი იყო ენერჯის წყარო. აცტეკების იმპერატორი დღეში 50 ჭიქა შოკოლადს სვამდა. ამ პერიოდში ასეთ სასმელს ძალიან დიდი პოპულარობა ჰქონდა და მას „ღმერთების სასმელი“ ერქვა.

ევროპაში შოკოლადი ესპანელმა კონკისკადორებმა შეიტანეს. იგი იმდენად მაგარი სასმელი იყო, რომ თავდაპირველად მას მხოლოდ მამაკაცები სვამდნენ. მეთვრამეტე საუკუნეში შოკოლადის პირველი საკონდიტრო საფრანგეთში გაიხსნა. შოკოლადის ფილა პირველად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შექმნა ფრანგმა კონდიტერმა.

სავარჯიშო:

მოკლედ გადმოეცით ტექსტის ძირითადი შინაარსი (3-4 წინადადება), რის შესახებ არის ტექსტში საუბარი? ტექსტი დაასათაურეთ.

დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, სადაც ხელისუფლების წყარო ხალხია. სიტყვა „დემოკრატია“ წარმოდგება ძველბერძნული სიტყვებიდან: „დემოს“ ნიშნავს ხალხს და „კრატოს“ - მმართველობას. დემოკრატიის ექსპერიმენტი პირველად ათენში განხორციელდა. გადაწყვეტილებებს ათენის მოქალაქეები პირდაპირი კენჭისყრით იღებდნენ. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ჰქონდათ. ქალები, ბავშვები, მონები და უცხოელები არ სარგებლობდნენ ამ უფლებით. ათენის დემოკრატია უშუალო დემოკრატიის ნაირსახეობას წარმოადგენდა.

ტექსტი და ანალიზი

ტექსტის ვრცელი ანალიზის სტრუქტურა

ტექსტზე მუშაობა:

- საკვანძო კითხვების დასმა;
- საკვანძო წინადადების მოძებნა.

როგორც უკვე აღინიშნა, ტექსტის დამუშავებისას, პირველ რიგში ყურადღებით უნდა წაიკითხოთ ტექსტი, გამოყოთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია.

ტექსტის დამუშავებისას აუცილებლად უნდა დასვათ საკვანძო შეკითხვები, რომელთა საფუძველზეც შემდგომში ააგებთ თქვენს მსჯელობას.

შემდგომი მსჯელობისათვის აგრეთვე დაგეხმარებათ ტექსტში მთავარი აზრის გამომხატველი, ანუ საკვანძო წინადადების მოძებნა, რომელიც იქნება ერთგვარი იმპულსი და საყრდენი თქვენი ანალიზისათვის. გახსოვდეთ, რომ საკვანძო წინადადება არის მონაკვეთის ან ტექსტის მთავარი აზრის ან ინფორმაციის გამომხატველი წინადადება. მისი მოძებნა დაგეხმარებათ მსჯელობის განვითარებაში.

სავარჯიშო:

წაიკითხეთ ტექსტი, ჩამოაყალიბეთ შეკითხვები და დაუსვით თქვენს ჯგუფებს და შეაფასეთ მისი პასუხი.

შუა საუკუნეების ინგლისური ლეგენდის მიხედვით მხატვრული ფილმი არაერთხელ გადაუღიათ. არსებობს „რობინ ჰუდის“ შავ-თეთრი, ფერადი, ანიმაციური (დისნეის შედევი), პაროდული და და სხვა ტიპის ფილმები, თუმცა რიდლი სკოტის ფილმი სრულიად განსხვავებულია. ბოლო ეკრანიზაცია ეფუძნება არა ლეგენდას ან ისტორიულ ფაქტებს, არამედ რეჟისორის ფანტაზიას. მაგალითად არავინ ელოდება, რომ ფილმის დაწყებიდან 15 წუთში რობერტ ლოქსლი შეიძლება მოკვდეს. ბევრი ეპიზოდი მაყურებლისთვის შოკი აღმოჩნდა. როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ეს რეჟისორის ხუმრობაა, ანცობაა. ის რომ, ფილმის სცენარი მაყურებელს სულ სხვა მიმართულებით წაიყვანდა, ჯერ კიდევ იმ დროს იყო ცნობილი, როდესაც ის იქმნებოდა. სცენარის ავტორ ბრაიან ჰელგელანდს ("მისტიკური მდინარე", "რაინდის ამბავი", "ლოს ანჯელესის საიდუმლოება", ამ უკანასკნელისთვის "ოსკარი" მიიღო) რეჟისორისგან ერთადერთი დავალება ჰქონდა - შეექმნა ისტორია ისტორიამდე.

რამდენიმე თვის წინ ინტერნეტში არა ერთი უჩველო ფაქტი ქვეყნდებოდა. პროექტსაც თავიდან "ნოტინჰემი" ერქვა, თუმცა ჰელგელანდს იმდენჯერ მოუწია სცენარის გადაწერა, რომ საბოლოო სათაურად მარტივად "რობინ ჰუდი" შეირჩა. სათაური კი ფილმის ამკარად ერთ-ერთი უხერხულობაა, რადგან თითქმის სამსაათიანი სანახაობის განმავლობაში მაყურებელი ვერაფრით აკავშირებს ლეგენდასა და ფილმს.

რობინ ჰუდის როლს ცნობილი გლადიატორი რასელ ქროუ თამაშობს. თუმცა რასელ ქროუს გმირსა და ამ სახელით ცნობილ პერსონაჟს საერთო არაფერი აქვთ. ბევრი ფიქრობდა, რომ რობინ ჰუდი გლადიატორის მსგავსი იქნებოდა, მაგრამ ამ ორ ფილმს საერთო არაფერი აქვთ.

რიდლი სკოტს ისტორიული სიუჟეტის ეკრანზე გადატანა, მარტივად რომ ვთქვათ, კარგად გამოსდის ("გლადიატორი", "1492: სამოთხის აღმოჩენა", "ზეციური სამეფო"). ეკრანზე დანახულ ყველა სცენაში იგრძნობა ეპოქის შესაბამისი განწყობა. ასეა "რობინ ჰუდშიც", რომელიც ვიზუალურად სრულყოფილია და იმდენად დამაჯერებელი, რომ არც იმის მიმართ გიჩნდება პროტესტი, რომ რობინს 46 წლის რასელ ქროუ თამაშობს.

სავარჯიშო:

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ორი ტექსტი, აღწერეთ მოკლედ, რა საერთო და განსხვავება აქვს ამ ორ ტექსტს. თქვენი სათქმელი ჩამოაყალიბეთ წერილობით.

1)

დაბადება - ბავშვობა - ახალგაზრდობა - საშუალო ასაკი - სიბერე - ეს ყოველი ადამიანის გასავლელი გზაა, რადგან სიბერე კანონზომიერი პროცესია, იგი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილია, განუწყვეტელი ბიოლოგიური ცვლილებების შედეგი. 25 წლისთვის ადამიანის ორგანიზმში სრულდება ორგანოებისა და სისტემების ფორმირება. ბიოლოგიური სიბერის პირველი ნიშნებიც სწორედ ამ დროისთვის ჩნდება, ხოლო 40-50 წლის შემდეგ ეს ნიშნები უფრო შესამჩნევი და თვალში საცემი ხდება.

ადამიანს ხანში შესულს 60-74 წლის ასაკში უწოდებენ, თუმცა ყველა ადამიანს შეიძლება განსხვავებული ბიოლოგიური ასაკი ჰქონდეს.

თეორიულად ორგანიზმის კალენდარული და ბიოლოგიური ასაკი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ ბიოლოგიური ასაკი ჩამორჩება კალენდარულს, ამბობენ, რომ ადამიანი ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. როცა ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, ფიზიოლოგიური პროცესები ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო როცა კალენდარული ასაკი ჩამორჩება ბიოლოგიურს, ეს ნაადრევი სიბერის ნიშანია.

მეცნიერების დასკვნით არსებობს სიბერის გარეგანი მიზეზები. სიბერის გარეგანი მიზეზებს წარმოადგენს ის რისკფაქტორები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაქვს და რომლებიც აჩქარებენ ორგანიზმის დაბერებას:

1. თამბაქოს წევა (დღეში 11-20 ღერი სიგარეტი);
2. ალკოჰოლური სასმელები (დღეში 100-200 მლ-ზე მეტი);
3. არარეგულარული კვება (1-2-ჯერ დღეში);
4. მშრალი საკვები (4-7-ჯერ კვირაში);
5. რაციონში ხილისა და ბოსტნეულის დეფიციტი (დღეში 100 გ-ზე ნაკლები);
6. ცხიმი (I, II, III და IV ხარისხის);
7. ჭარბი შაქრის მიღება (დღეში 25 გრამზე მეტი);
8. შემწვარი, შებოლილი პროდუქტებისა და ყავის ხშირი მიღება (2-3 ჯერზე მეტად დღეში);
9. მედიკამენტების მუდმივი მიღება (2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში);
10. ტოქსიკურ, კანცეროგენულ ნივთიერებებთან კონტაქტი (1 წელზე მეტი ხნის

განმავლობაში);

11. ძლიერ ცივ ან ცხელ გარემოში მუშაობა (2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში);
12. მძიმე ფიზიკური შრომა (3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში);
13. არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, მჯდომარე სამსახური;
14. სტრესული სიტუაციები (2-5 წლის განმავლობაში);
15. წელიწადში 1-2-ჯერ ინფექციური და ქრონიკული პათოლოგიური დაავადება.

2)

იყო მოხუცი - ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა, ისწავლო, კვდებოდე (სიკვდილი) და სიკვდილი ისეთივე საპატიო ფუნქციაა, როგორც სხვა ნებისმიერი, იმ პირობით, თუ ეს იგი სიცოცხლის აზრისა და სიწმინდის ფასი. მოხუცი, რომლისთვისაც სიბერე, ჭაღარა და სიკვდილის სიახლოვე მხოლოდ სამუღველი და საშინელია, უღირსი წარმომადგენელია თავისი ცხოვრების ამ ეტაპისა. ისევე როგორც ახალგაზრდა და ძლიერი ადამიანი, რომელსაც სძულს თავისი საქმიანობა, ყოველდღიური შრომა და ცდილობს მისგან თავი დაიძვრინოს.

მოკლედ რომ ვთქვათ: სიბერეში შენი დანიშნულება რომ შეასრულო და თავი გაართვა შენს ამოცანას, შეთანხმებული, ჰარმონიულად უნდა იყო სიბერესთან და იმ ყველაფერთან, რაც მას თან მოაქვს, უნდა უთხრა: „დიახ“. თუ ჩვენ არ ვიტყვით „დიახ“, ესე იგი არ ვართ მზად მივიღოთ ის, რასაც ჩვენგან ბუნება ითხოვს და არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მოხუცები ვართ თუ ახალგაზრდები, ჩვენ ვკარგავთ ცხოვრების, ჩვენი დღეების მნიშვნელობასა და აზრს და სიცოცხლეს ვატყუებთ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი :

მოცემულ ტექსტში გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია:

ჩინეთის დიდი კედელს აქვს სამხედრო ფუნქცია. მისი მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ.წ. მე-3-დან ახ.წ. მე-17 საუკუნებდე, სხვადასხვა დინასტიების მონაწილეობით, თურქთა და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდასხმებისგან დასაცავად. ამ პერიოდში რამდენიმე კედელი აშენდა, თუმცა მათ შორის ყველაზე განთქმულია დიდი კედელი აგებული ძვ.წ. 220-200 წლებში პირველი იმპერატორი ქინ ში ჰუანდის მიერ. მსოფლიოში ყველაზე გრძელი და განსაცვიფრებელი ნაგებობის, ჩინეთის დიდი კედლის გარეგნული სილამაზისა და გრანდიოზულობის უკან ბევრი ამოუცნობი საიდუმლოება იმალება. ცოცხლად ჩატანებული მეომრები, დაკარგული საგანძური, მიწისქვეშა სამალავები, უცხოპლანეტელებთან კავშირი და ა.შ. – ეს ყველაფერი ჩინეთის დიდი კედლის დღემდე იდუმალებით მოცული მხარეა. 7 ათას კილომეტრამდე სიგრძის კედელი შანხაის გასასვლელიდან ბოხაის ზღვამდეა გადაჭიმული.

ისმის კითხვა, რა გახდა ამ დიდი ნაგებობის აშენების მიზეზი? ჩინელები უმიზეზოდ და მარტო სილამაზის გულისთვის არაფერს აშენებდნენ, არც იმისთვის, რომ ვინმე გაეკვირვებინათ და აღეფრთოვანებინათ. ყველაზე გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, როდესაც ჩინეთის დიდი იმპერია ერთი იმპერატორის მმართველობის ქვეშ გაერთიანდა და შიდა პრობლემებს ბოლო მოეღო, სერიოზული ზომების მიღება გახდა საჭირო გარე მტრებისგან თავის დასაცავად.

აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ჩინეთი ბუნებრივად იყო დაცული მთებითა და უდაბნოებით, ერთადერთი ღია სივრცე ჩრდილოეთით რჩებოდა. უზარმაზარი კედლის აშენების იდეა, რომელიც ამ ჩრდილოეთ მხარეს დაიცავდა, პირველად თავში უდიდეს იმპერატორს, შინხუანდის მოუვიდა.

როცა კედელს აშენებდნენ, ალბათ არავის მოუვიდოდა აზრად, რომ ეს ნაგებობა ოდესმე ტურისტულ ცენტრად იქცეოდა და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან უამრავ ადამიანს მიიზიდავდა იმის სანახავად, თუ როგორი უზარმაზარი რაღაცაა აშენა ამ უდიდესმა ქვეყანამ.

ჩინელები მაშინაც საკმაოდ ბევრნი იყვნენ და მიზნის სისრულეში მოყვანა არ გასჭირვებიათ. ათასობით ადამიანი სრულიად უანგაროდ შრომობდა მშენებლობაზე და ეს მათთვის დიდი პატივიც კი იყო. ძვ.წ.ალ-ით მე-3 საუკუნეში დაწყებული მშენებლობა ახ.წ.ალ-ით მე-7 საუკუნეში დასრულდა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი :

მოცემულ ტექსტში მოძებნეთ საკვანძო წინადადება:

შვედურ კუნძულ ჰოტლანდზე ჩვენი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნის მონეტები აღმოაჩინეს. უნიკალური არქეოლოგიურ ნამარხი ორმა ძმამ შემთხვევით იპოვა. ერთ-ერთმა

მათგანმა, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა, ივარაუდა, რომ ნაპოვნი მონეტა არაბული წარმოშობის იყო. ახალგაზრდებმა სეირნობის დროს მიწაში ნანახი მონეტის ადგილის თხრა განაგრძეს და აღმოაჩინეს, ათასამდე ვერცხლის მონეტა და სამაჯურები. მათი საერთო წონა კილოგრამამდეა. მეცნიერების აზრით, მონეტები ძველი ვიკინგების საგანძურადანაა და იგი ჩვენი წელთაღრიცხვის მეთერთმეტე საუკუნეს მიეკუთვნება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი :

მოცემულ ტექსტში მოძებნეთ საკვანძო წინადადება:

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებს შორის გერმანელი, ამერიკელი, დიდი ბრიტანელი და ფრანგი მოგზაურები ჭარბობენ. მეზობელ ქვეყნებს შორის კი თურქეთი ლიდერობს, რომლის ტურისტების ნაწილი ბათუმში საქმიანი ვიზიტით, ნაწილი კი სამორინეებში სათამაშოდ ჩადის.

ამავე კვლევით, უცხოელი ტურისტების დიდი ნაწილი თბილისს სტუმრობს. ტურისტთა 30 პროცენტი საქართველოში საქმიანი ვიზიტით, 25 პროცენტი ნათესავ-მეგობრების მოსანახულებლად, 23 პროცენტი კი დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით ჩადის. ტურისტთა უმრავლესობას ჩვენს ქვეყანაში ადამიანური ურთიერთობები, სტუმართმოყვარეობა, კლიმატური პირობები და ადგილობრივი სამზარეულო იზიდავს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი :

მოცემულ ტექსტში მოძებნეთ საკვანძო წინადადება:

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევების მიხედვით, 1995 წელს 3200 ადამიანის სიკვდილის მიზეზი სწორედ თამბაქოს მოწევა გახდა. ეს დაახლოებით 7 პროცენტია სხვადასხვა დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობისა. საინტერესოა, რომ დაღუპულთა შორის მეტესობა მამაკაცები იყვნენ. სტატისტიკური მონაცემებით, თამბაქოს მწვეელი ყოველი 5

მამაკაციდან 1 საშუალო ასაკში (35-69) კვდება, ხოლო სამიდან ერთი იღუპება კიბოთი.

თეზისი, თეზისის განვითარება თეზისის ფუნქცია თეზისის შექმნის საშუალებები

უშუალოდ წერის პროცესის სწორად წარმართვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი ტექსტის აგება, მისი სტრუქტურის გამართვა, შინაგანი ლოგიკის დაცვა. აკადემიური წერის პრინციპებიდან გამომდინარე, არსებობს წესები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია გამართული სრულყოფილი წერილობითი ტექსტის შესაქმნელად.

მოპოვებული ინფორმაციის ან საანალიზო ტექსტის დამუშავების შემდეგ იწყება უშუალოდ წერის პროცესი. წერის დაწყებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეზისის შექმნა და მისი განვრცობა.

რა არის თეზისი?

თეზისი არის მთავარი სათქმელის გამომხატველი წინადადება, რომელიც მსჯელობის დასაწყისია და მსჯელობით განვითარდება. ამდენად თეზისის კარგად ჩამოყალიბება არსებითია მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. შესაბამისად, ვრცელ წერილობით ტექსტში იმდენი თეზისი იქნება, რამდენი აზრის გადმოცემაც გასურთ.

თეზისის ფუნქცია:

თეზისის ფუნქციაა, ნათელი და მკაფიო წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს იმის შესახებ, თუ რაზე იქნება საუბარი ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთში. ფაქტობრივად, თეზისი აკონკრეტებს და შემოსაზღვრავს სათქმელს. გარდა ამისა, სწორედ თეზისმა უნდა განაწყოს მკითხველი დადებითად და აღუმრას ინტერესი.

თეზისის შექმნის საშუალებები:

გათვალისწინეთ, რომ თეზისი არის არგუმენტის საფუძველი.

კარგი თეზისი აუცილებლად უნდა გადმოსცემდეს დასრულებულ აზრს. იგი შეიძლება შეიცავდეს რაიმეს მტკიცებას, ვარაუდის გამოთქმას, ფაქტის ან მოვლენის აღწერას ან უბრალოდ ამა თუ იმ ინფორმაციას.

თეზისი შესაძლოა ჩამოყალიბდეს კითხვის სახითაც, ანუ წარმოადგენდეს საკითხის დასმას. მაგალითად: რა იწვევს მოზარდთა შორის დანაშაულის ფაქტების გაზრდას?

გახსოვდეთ, რომ კარგ თეზისად ითვლება მხოლოდ ისეთი წინადადება, რომლის უარყოფაც ან მხარდაჭერაცაა შესაძლებელი. მაგალითად, თავისუფლად შეიძლება მსჯელობა

საბაზრო ეკონომიკის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე.

კარგი თეზისის შექმნაში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:

- პასუხობს თუ არა თქვენი თეზისი თქვენს საანალიზო საკითხთან დაკავშირებულ ძირითად კითხვას?
- იძლევა თუ არა თეზისი არგუმენტირებული მსჯელობის საშუალებას?
- არის თუ არა თეზისი გაურკვეველი და ძალიან ზოგადი?
- ხომ არ არის საჭირო ერთ კონკრეტულ საკითხზე კონცენტრირება?
- უკავშირდება თუ არა უშუალოდ თქვენი თეზისი საკვევ საკითხს? თუ თეზისი თქვენი პირადი შეხედულება და შეგრძნებაა?
- არის თუ არა თქვენი თეზისი ენობრივად გამართული? შედგება მარტივი თუ რთული კონსტრუქციებისაგან? არის თუ არა მასში პარალელიზმები? ერთი და იგივე აზრი ხომ არ მეორდება?

გახსოვდეთ, რომ თეზისში ასახული უნდა იყოს ერთი თავარი იდეა, შეიძლება ითქვას, რომ თეზისი არის სამსჯელო საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი თქვენეული დასვნა.

თეზისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვრცელი წერილობითი ტექსტის შესავლის შექმნისას.

თეზისი ამზადებს მკითხველს შემდგომი მსჯელობისათვის, რაზე იქნება საუბარი, სავარაუდოდ, რა არგუმენტები იქნება გამოყენებული და, ზოგადად, რას დაეყრდნობა აზრის შემდგომი განვითარება. თეზისი გვეხმარება არგუმენტის შექმნასა და განვითარებაში.

მაგალითად, გვაქვს ტექსტი, რომელშიც საუბარია მობილურ ტელეფონსა და მის დანიშნულებაზე.

დღეს, რა თქმა უნდა, თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია მობილური ტელეფონის გარეშე. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საჭირო ნივთია. მობილური ტელეფონის მეშვეობით შეიძლება დაკავშირება ნებისმიერ ადამიანთან დედამიწის ნებისმიერ კუთხეში. მას პრაქტიკული დანიშნულება აქვს. რაც დრო გადის, იცვლება მობილურების დიზაინი და იხვეწება მისი ტექნოლოგიაც. თუმცა, მთავარია, ტელეფონმა შეასრულოს თავისი ფუნქცია და არ აქვს მნიშვნელობა მის იერსახესა და ფასს. მაგრამ ზოგისთვის მობილური ტელეფონი არის აგრეთვე ფუფუნების საგანი და ძვირფასი ნივთი. ზოგჯერ ადამიანები უამრავ ფულს ხარჯავენ ძვირფადღირებული ტელეფონის შესაძენად, რადგან ეს ამაღლებს მათ იმიჯს.

ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან გამომდინარე თეზისი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.

მობილური ტელეფონი საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა. ერთი მხრივ, იგი არის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ადამიანის განუყოფელი და ზოგისთვის, შესაძლოა, ძვირფასი აქსესუარაც.

გადავხედოთ თეზისს და გავაანალიზოთ, რამდენად ასრულებს იგი თავის ფუნქციას და რამდენად უქმნის მკითხველს სამსჯელო თემაზე ნათელ წარმოდგენას?

წარმოიდგინეთ თქვენი თავი მკითხველის როლში და პირველ რიგში, დასვით შეკითხვა, რას ელოდებით მოცემული თეზისისგან? როგორი იქნება თეზისზე აგებული მსჯელობა და რაზე იქნება აქ საუბარი?

ცხადია, რომ მსჯელობის მთავარი თემა იქნება მობილური ტელეფონი და მისი ფუნქციები. გარდა ამისა, ნათელია, რომ ყურადღება გამახვილდება ამ ნივთისადმი ადამიანების სხვადასხვა კატეგორიის განსხვავებულ დამოკიდებულებაზე. სავარაუდოდ, საუბარი იქნება იმაზე, თუ რას ნიშნავს მობილური ტელეფონი თანამედროვე ადამიანისათვის და ნაჩვენები იქნება ავტორის პოზიციაც. თუ ზემოთ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები დამაკმაყოფილებელია, შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილმა თეზისმა შეასრულა თავისი ფუნქცია.

ახლა განვიხილოთ ზემოთ მოყვანილ ტექსტთან დაკავშირებული კიდევ ერთი თეზისი :

მობილური ტელეფონი საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა. იგი არის რევოლუცია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ისტორიაში. მობილურმა ტელეფონმა გარდატეხა მოახდინა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

რამდენად პასუხობს ეს თეზისი მოთხოვნებს და რამდენად უქმნის მკითხველს წარმოდგენას, თუ რაზე იქნება შემდგომ საუბარი?

შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი თეზისი ძალიან ზოგადია, არ არის ინფორმაციული და, შესაბამისად, ბუნდოვანი, რადგან არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას, მკითხველი ვერ მიხვდება, იქნება საუბარი მობილური ტელეფონების შექმნის ისტორიაზე, რომელიმე კონკრეტულ მწარმოებელ კომპანიაზე თუ მობილური ტელეფონის დანიშნულებაზე? ამდენად, ამგვარი თეზისი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას.

თეზისის განვითარება:

თეზისში თქვენი სათქმელი შეიძლება გადმოსცეთ 3-4 წინადადებით. მაგრამ ხშირად მხოლოდ თეზისი არ არის საკმარისი, იგი ვერ ამოწურავს სათქმელს, აუცილებელია მისი გაშლა და გავრცობა. თეზისის გაშლა, უპირველეს ყოვლისა, არის ახსნა და განმარტება იმისა, თუ რას გულისხმობთ მთავარ სათქმელში.

ავიღოთ მარტივი თეზისი:

მაგალითად:

ოცდამეერთე საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ალერგიული დაავადებების რიცხვი.

თეზისის განვრცობა და განვითარება შესაძლოა იმ კონკრეტული მიზეზების დასახელებით, რომლებიც იწვევს ამ ტიპის დაავადებებს:

მაგალითად:

როგორც მედიკოსები ამბობენ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მიზეზით: გარემოს დაბინძურება, არაჯანსაღი, არაორგანული საკვები, არაჯანსაღი ცხოვრების წესი.

თეზისის გაშლის საშუალებები:

არსებობს თეზისის გაშლის მთელი რიგი საშუალებები, რომლებიც დაგეხმარებათ მსჯელობის განვითარებაში და მათი გამოყენება შესაძლებელია იმისდა მიხედვით, თუ რა არის გამოთქმა გსურთ.

დამხმარე კითხვები	ენობრივი საშუალებები
რატომ?	იმიტომ რომ... რადგან... ვინაიდან... იმდენად, რამდენადაც...
რას გულისხმობ?	შეიძლება ვიფიქროთ... ვივარაუდოთ... განვსაზღვროთ... ვიმსჯელოთ... შეიძლება ითქვას, რომ ... ფაქტობრივად...

	აქედან გამომდინარე...
რას გულისხმობს საკვანძო სიტყვა ან წინადადება?	ეს ნიშნავს იმას, რომ... ეს აიხსნება იმით, რომ... შეიძლება ითქვას, რომ ...
რა არის მოცემული მონაკვეთის ძირითადი აზრი?	მოცემული მონაკვეთის ძირითადი აზრის არის ის, რომ... ავტორის მთავარი სათქმელია... ყველაზე მთავარია ის, რომ...
რა არის წამოწეული წინა პლანზე?	წინა პლანზე წამოწეულია... მონაკვეთში ხაზგასმულია... ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ...
რა იპყრობს შენს ყურადღებას?	განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ... მოცემულ მონაკვეთში ყურადღებას იქცევს ის, რომ... მოცემულ მონაკვეთში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ...
რით აიხსნება ეს?	ეს აიხსნება იმით, რომ... ეს განპირობებულია იმით, რომ... ამის მიზეზია ის, რომ... ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს ის, რომ...
არის თუ არა პასუხი დასმულ შეკითხვაზე მოცემულ მონაკვეთში?	ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი გარემოება... მოცემულ ეპიზოდში მნიშვნელოვანია... დასმულ კითხვას პასუხი შეიძლება გავცეთ ამ ეპიზოდის მიხედვით... პრობლემის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია შემდეგი... ეს არის საკვანძო ეპიზოდი...
როგორ უკავშირდება მოცემული მონაკვეთი ძირითად სათქმელს?	სწორედ აქ ჩანს პრობლემის გადაჭრის გზა... მოცემულ მონაკვეთში ვლინდება ავტორის პოზიცია... მოცემული მონაკვეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის გასაანალიზებლად...
რა პარალელების გავლება შეიძლება?	მნიშვნელოვანია სხვა ეპიზოდიც... ანალოგიური მოვლენაც... პარალელის გავლება შეიძლება სხვა ეპიზოდთან... ანალოგიურ მოვლენასთან... ეს პრობლემა დასახმულია სხვა ნაწარმოებშიც... პრობლემის გასაანალიზებლად კარგი იქნება გავიხსენოთ...

სავარჯიშო:

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შექმენით თეზისი:

გარემოს დამცველებმა ბორჯომის რაიონში უკანონოდ მოჭრილი 150 კუბური მეტრი ხის მასალა აღმოაჩინეს. როგორც სატყეო მეურნეობის თანამშრომლები აცხადებენ, სოფელ საკირის ტყეებში ხე-ტყის მოპოვება მოხლოდ საწვავი შემისათვის არის დაშვებული, ამის მიუხედავად, მოსახლეობა ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებას მაინც აგრძელებს.

ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, მათთვის ძირითადი საარსებო საშუალება ხე-ტყის რეალიაციაა. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი დგინდება, ამოღებული ხის მასალა კი სატყეო მეურნეობას გადაეცა.

სავარჯიშო:

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შექმენით თეზისი:

ზედმეტ წონას განსაკუთრებით განიცდიან ქალები და მის მოსაშორებლად ნებისმიერ დიეტაზე თანახმანი არიან. ასეთ დროს არასრულფასოვნების კომპლექსს შიმშილით გამოწვეული სტრესული მდგომარეობაც ემატება (დამტკიცებულია, რომ შიმშილობა ადამიანისთვის სტრესფაქტორს წარმოადგენს). თუ ნივთიერებათა ცვლა დარღვეულია, დიეტის ზედმიწევნით დაცვა საჭირო. დიეტაც სწორად უნდა იყოს შერჩეული, რადგან აქ მხოლოდ სხეულის კორექციაზე როდია საუბარი. რა თქმა უნდა, დიდია დატვირთვაც, რომელსაც დიეტაზე მყოფი ადამიანის ფსიქიკა განიცდის. ოჯახის წევრებს ამ დროს დიდი მოთმინება, ყურადღება და ტაქტი მართებთ. ზოგჯერ ოჯახის წევრები მართლაც "ეხმარებიან", თანაც გულმოდგინედ, დიეტაზე მყოფს: განუწყვეტელი შენიშვნებითა და მუდმივი მითითებებით თავს აბეზრებენ, სამზარეულოს კარადებსა და მაცივრებს კეტავენ, რათა გახდომის მსურველს სულმა არ წასძლიოს და დიეტა არ დაარღვიოს, ამით კი ისედაც დათრგუნულსა და გაღიზიანებულს უფრო მეტად აღიზიანებენ. როდესაც ადამიანი საკუთარ თავს რაიმეს უკრძალავს, გარკვეულ პირობებს უყენებს და ჩარჩოებში აქცევს, ეს ზიანს აყენებს მის ფსიქიკას, მით უმეტეს, როდესაც საქმე სასიცოცხლო მოთხოვნილებების შეზღუდვას ეხება. დიეტა სხვადასხვაგვარია:

სავარჯიშო:

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შექმენით თეზისი:

კახეთში წუხელ მომხდარ მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. როგორც „მედიანიუსს“ სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, რიხტერის შკალის 3,7 ბალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით 21.42 საათზე დაფიქსირდა. ეპიცენტრი ყვარლის რაიონის სოფელ შილდადან 14 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იყო.

ამავე ცნობით, კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც ხსენებული ტერიტორია მდებარეობს, სეისმურად აქტიური ზონაა.

სავარჯიშო:

მოცემული სიტყვების მეშვეობით შექმენით თეზისი:

სკოლა, მოსწავლე, სპორტული მოედანი, გაკვეთილი, ფიზკულტურა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, მომავალი.

სავარჯიშო:

მოცემული სიტყვების მეშვეობით შექმენით თეზისი:

2010 წელი, მსოფლიო, ბედნიერი, ფეხბურთი, ჩემპიონატი, წელი, გულშემატკივარი, ესპანეთი, ჩემპიონი, მოლოცვები, ფანკლუბი, გამარჯვება, წარმატებული.

სავარჯიშო:

მოცემული სიტყვების მეშვეობით შექმენით თეზისი:

თანამედროვე, მობილური, ტექნოლოგიები, კომუნიკაცია, ატრიბუტი, ტელეფონი, ურთიერთობა, ადამიანი, ცხოვრება, აუცილებელი, დრო, დაზოგვა, ეფექტური, მნიშვნელოვანი, საქმიანი, დამყარება.

სავარჯიშო:

მოცემულ ტექსტში ჩასვით თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებები თეზისის განვრცობის მიზნით:

შვეიცარიაში შვედეთის მოქალაქე სიჩქარის გადაჭარბებისთვის 1 მილიონი დოლარით დააჯარიმეს. ----- 37 წლის შვედმა 6-ცილინდრიანი, Mercedes SLS AMG გერმანიაში შეიძინა და მისი გამოცდა შვეიცარიაში გადაწყვიტა. ბერნი-ლოზანას ტრასაზე, შვედმა 290 კმ/სთ განავითარა და ავტომანქანის გაჩერებისთვის მას 1,5 კილომეტრი დასჭირდა. შვეიცარიაში, მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე 130 კმ/სთ-ია.

სავარჯიშო:

მოცემულ ტექსტში ჩასვით თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებები თეზისის განვრცობის მიზნით:

010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 51 00-ით გაიზარდა და 4 436 400 კაცი შეადგინა. ----- ეს მაჩვენებელი 2009 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 1,2 პროცენტით აღემატება. ----- ქვეყნის მოსახლეობის 53 პროცენტი, ანუ 2 350 500 კაცი ქალაქად, ხოლო 47 პროცენტი, ანუ 2 085 900 კაცი სოფლად ცხოვრობს. ----- მოსახლეობის ყველაზე დიდი, 3,4 პროცენტით მატება 2009 წლის 1 იანვართან შედარებით, მცხეთა-მთიანეთში, აღინიშნება. მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი 2,3; მესამეზე კი სამცხე-ჯავახეთი 1,5 პროცენტით.

სავარჯიშო:

მოცემულ ტექსტში ჩასვით თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებები თეზისის განვრცობის მიზნით:

კონსტანტინოპოლი (ბერძნ. Κωνσταντινούπολις) იყო თანამედროვე სტამბოლის, სახელი საუკუნეების განმავლობაში. -----ის ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქს წარმოადგენდა (ქალაქის ძველი ბერძნული სახელი იყო ბიზანტიუმი). ----- კონსტანტინოპოლი სტრატეგიულად მდებარეობდა ოქროს რქისა და მარმარილოს ზღვის უბეში, იმ ადგილას სადაც ევროპა აზიას ხვდება. მან წარმატებულად გაართვა თავი ძველი რომის გადმოცემულ მემკვიდრეობას და უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო ევროპაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ----- მას „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს.

სავარჯიშო:

განავრცეთ მოცემული თეზისი სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით:

მოკლე ტექსტური შეტყობინება (მესიჯი) მოზარდთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

სავარჯიშო:

განავრცეთ მოცემული თეზისი სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით:

დროის სწორად განაწილება წარმატების მიღწევის წინაპირობაა.

სავარჯიშო:

განავრცეთ მოცემული თეზისი სათანადო ენობრივი საშუალებების გამოყენებით:

კითხვა ბევრი რამის მომცემია ადამიანისთვის.

სავარჯიშო:

გადაიყვანეთ ტექსტი მესამე პირში და შექმენით თეზისი:

აბიტურიენტი ვარ და ვემზადები, თან სკოლაში დავდივარ. დილით ისე მიწევს შინიდან გასვლა, რომ დილით ჭამას ვერ ვახერხებ, ამიტომაც დროის უქონლობის გამო სხვების მსგავსად ურეჟიმოდ ვიკვებები ქუჩაში. ამის გამო საგრძნობლად მოვიმატე წონა. ვარ დეპრესიაში. მუდმივად უკმაყოფილო ვარ ჩემი თავით და მთლიანად ჩემი ცხოვრებით. მირჩიეთ, რა ვქნა? როგორც მითხრეს, საუკეთესო გამოსავალი ფიზიკური აქტივობაა, განსაკუთრებით ცურვაზე სიარული. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, მეზარება ამის გაკეთება, არადა, დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სასურველ შედეგს მალე მივიღებ.

სავარჯიშო:

რომელ თეზისებშია გამოთქმული მსგავსი აზრი? პასუხი დაასაბუთეთ.

- გიორგი ხუციშვილი პირველი კურსის სტუდენტია. იგი სტუდენტური თვითმმართველობის წევრია, აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ ღონისძიებებში, მისმა პროექტმა სტუდენტურ კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვა.
- ნინო კილასონია სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ფილოლოგიის მიმართულებაზე. მას ძალიან აინტერესებს ძველ ხელნაწერებზე მუშაობა, სავარაუდოდ, მისი საკურსო ნაშრომი სწორედ ამ თემაზე იქნება, ათონის მთაზე დაცული უძველესი ქართული ხელნაწრები.
- ნატა კილაძე სწავლობს თავისუფალ უნივერსიტეტში ისტორიის მიმართულებაზე. მისი

ინიციატივით გამოდის სტუდენტური ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, რომელშიც იბეჭდება სტუდენტებისთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია. ნატა არის ამ ჟურნალის რედაქტორი. ჟურნალის პრეზენტაცია შედგა 20 აპრილს სასტუმრო მერიოტში.

- ჯაბა ქამუშაძე სწავლობს კავკასიის უნივერსიტეტში. იგი მეოთხეკურსელი სტუდენტია. ჯაბა არის ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი, ჰყავს ბევრი მეგობარი და ყველას უყვარს. მისი ინიციატივით მეგობრები ხშირად იკრიბებიან, საუბრობენ საინტერესო თემებზე და კარგ დროს ატარებენ. წელს ჯაბა და მისი თანაკურსელები მიდიან ხევსურეთში.

სავარჯიშო:

რომელ თეზისებშია გამოთქმული მსგავსი აზრი? პასუხი დაასაბუთეთ.

- დემოკრატიულ სისტემაში ყველაზე სუსტს ისეთივე შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს, როგორც ყველაზე ძლიერს.
- თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და უნდა სარგებლობდეს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით, და ყველა თანასწორია კანონის წინაშე.
- დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, სადაც ხელისუფლების წყარო ხალხია.
- პირველი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა, ხოლო პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნდა, იყო საფრანგეთი დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ.
- დემოკრატია დეფინიციურად ხალხის მმართველობას ნიშნავს, თავისი არსით იგი უმრავლესობის ხელისუფლებაა.

არგუმენტი

წერის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია არგუმენტის შექმნა. არგუმენტის გარეშე თქვენი ტექსტი მოკლებული იქნება მსჯელობის ელემენტებს. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ მოსაზრებას, ვარაუდს, პოზიციას ესაჭიროება დასაბუთება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი დამოკიდებულება, მტკიცება, პოზიცია არ იქნება დამაჯერებელი და სანდო. ამდენად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ არგუმენტის შექმნას, მის მახასიათებლებსა და ენობრივ საშუალებებს.

რა არის არგუმენტი?

არგუმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მსჯელობისათვის ნათელის მოფენას. მისი მიზანია მსჯელობის ჭეშმარიტების ჩვენება, გამოთქმული აზრის განმტკიცება, დასაბუთება მაგალითებისა და ფაქტების მოყვანით, მკითხველის დარწმუნება აზრის სისწორეში.

არგუმენტის შექმნა

არგუმენტად შეიძლება იქცეს (აქვე გთავაზობთ თითოეული ტიპის არგუმენტის შექმნისათვის საჭირო ენობრივ საშუალებებს):

- **ციტატა** (ზემოთ ნათქვამს / ვარაუდს ადასტურებს შემდეგი სიტყვები...; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფრაგმენტს ნაწარმოებიდან...; ავტორის დამოკიდებულება მჟღავნდება შემდეგ სიტყვებში...; ამაზე მიგვითითებს შემდეგი სიტყვები...; ამ ვარაუდს ადასტურებს...);
- **საზოგადოდ ცნობილი დებულება ან აქსიომატური ჭეშმარიტება** (როგორც ცნობილია, არავინ დავობს იმის შესახებ, რომ...; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ...; საზოგადოდ მიღებული თვალსაზრისის თანახმად...);
- **სხვათა მოსაზრებები** (ამ საკითხის შესახებ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ...; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი...; სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია...);

- ისტორიული ფაქტები (როგორც ცნობილია...; ისტორიიდან ვიცით, რომ...; ისტორიული წყაროები გვაუწყებს...; ისტორიული მონაცემების მიხედვით...; ისტორიული გამოცდილება გვარწმუნებს...; საისტორიო წყაროების მიხედვით...);
- პირადი გამოცდილება (გავიხსენებ ეპიზოდს ჩემი ცხოვრებიდან...; მახსენდება ერთი შემთხვევა...; მინდა გაგიზიაროთ ჩემი დამოკიდებულება...; ამგვარი რამ თავად განმიცდია...);
- სტატისტიკა (სტატისტიკური მონაცემებით...; სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად...; როგორც ინტერაქტიულმა გამოკითხვებმა აჩვენა...);
- თქვენეული ლოგიკა (დარწმუნებული ვარ, რომ...; თუ ეს ასეა, მაშინ...; ...ფაქტი გვიჩვენებს, რომ...; მინდა აღვნიშნო, რომ...; ამ საკითხის შესახებ ვფიქრობ, რომ...);

არგუმენტის მახასიათებლები

- კარგი არგუმენტი უნდა იყოს სანდო და ჭეშმარიტი
- კარგი არგუმენტი უნდა იყოს ძლიერი და არ უნდა გადმოსცემდეს დასაშვებ თეორიებს. მაგალითად: როგორც ჩანს, ხვალ იწვიმებს, ესე იგი ხვალ წვიმა წამოვა. ამგვარი არგუმენტი, ბუნებრივია, არ არის ძლიერი და, შესაბამისად, დამაჯერებელი.
- კარგი არგუმენტი არ უნდა ბადებდეს დამატებით შეკითხვებს
- კარგი არგუმენტი უნდა იყოს ლოგიკური. მაგალითად, არ არის ლოგიკური ამ ტიპის არგუმენტი: თქვენს ძაღლს ჰქვია მურა, მაშასადამე ყველა ძაღლს ჰქვია მურა.
- კარგი არგუმენტი ადეკვატურად უნდა იყოს დაკავშირებული თეზისთან, მისგან გამომდინარეობდეს და, ამავე დროს, მას ასაბუთებდეს
- კარგი არგუმენტი არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი ან ძალიან ვიწრო, კონკრეტული.
- კარგი არგუმენტი მკითხველს საშუალებას აძლევს, ბოლომდე გაიაზროს თქვენი სათქმელი. შეიძლება იგი არ დაგეთანხმოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თქვენი პოზიცია მისთვის ნათელი უნდა იყოს.
- არგუმენტად არ გამოგვადგება გემოვნება, რელიგიური შეხედულებები, ემოციები და მკვეთრად პირადული დამოკიდებულება.

დამხმარე ენობრივი საშუალებები	
ინფორმაციის დამატება	<p>აგრეთვე ამასთანავე გარდა ამისა არა მხოლოდ, არამედ უფრო მეტიც ისევე როგორც შესაბამისად სათანადოდ მაგალითად ასე, მაგალითად</p>
გამომწვევი მიზეზები/შედეგები	<p>რადგან იმდენად რამდენადაც იმიტომ რომ ამდენად ამიტომ აქედან გამომდინარე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვინაიდან რადგანაც შესაბამისად ...შედეგად</p>
შეღაცება	<p>ისევე, როგორც მსგავსად მასთან შედარებით ისეთი, როგორც</p>
დაპირისპირება	<p>მაგრამ მაშინ, როცა ამისაგან განსხვავებით ერთი მხრივ მეორე მხრივ უპირველეს ყოვლისა თუმცა</p>

	<p>...ნაცვლად ხოლო</p>
<p>ახრის ლობიკური ბანვითარება</p>	<p>ჯერ ერთი... მეორე... ერთი მხრივ მეორე მხრივ თანაც პირველი მეორე უპირველეს ყოვლისა რაც ყველაზე მთავარია</p>
<p>აღიარებული ჭეშმარიტების მოხმობა</p>	<p>მართლაც ნამდვილად ფაქტობრივად ჩვეულებრივ როგორც წესი წესის თანახმად საერთოდ სხვათა შორის ცნობილია, რომ... სტატისტიკური მონაცემების მიხედვით... როგორც ცნობილია როგორც ყოველთვის როგორც ხშირად ხდება ხოლმე საზოგადოდ</p>
<p>პირობითობა</p>	<p>თუ მაშინაც კი, როცა იმ შემთხვევაში, თუ</p>
<p>კონტრარპუნქტის ბაბატილება</p>	<p>მართალია, მიჩნეულია... მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს... უნდა აღინიშნოს, რომ თითქოს არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრება, მაგრამ ერთი მხრივ, აღიარებულია, რომ... მაგრამ, მეორე მხრივ</p>
<p>არბუმენტთა დამაკავშირებელი ფრაზები</p>	<p>არანაკლები სიძლიერის არგუმენტად მიგვაჩნია... არანაკლებ მნიშვნელოვანია... ვფიქრობ მსჯელობას კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის... გასათვალისწინებელია ისიც, რომ...</p>

შეჯამება

იმისათვის, რომ თქვენი მსჯელობა იყოს ლოგიკურად გამართული, დამაჯერებელი, საქმიანი, არაგამაღიზიანებელი, მისაღები და კორექტული, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- ეცადეთ ამომწურავად მიაწოდოთ მკითხველს თქვენ მიერ განხილული საკითხი;
- ეცადეთ თქვენი მსჯელობა იყოს კარგად ორგანიზებული და ლოგიკურად დალაგებული;
- არ უნდა დაშორდეთ ძირითად მიზანსა და სათქმელს და არ უნდა მოიხმოთ შეუსაბამო და არაადეკვატური არგუმენტები;
- არ უნდა გაგიტაცოთ მჭერმეტყველებამ, მაშინ როცა საჭიროა ძლიერი არგუმენტაცია და მკაფიო დებულებების მოხმობა თქვენი ნათქვამის განსამტკიცებლად;
- არ შეიძლება გადაუმოწმებელი მონაცემების მოხმობა და მათი ბოროტად გამოყენება;
- თქვენი მსჯელობა უნდა იყოს ანალიტიკური, არგუმენტირებული და არა მხოლოდ აღწერითი;
- არ უნდა გადმოსცეთ მხოლოდ სხვების მოსაზრებები თქვენი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, ანუ არგუმენტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასებით დამოკიდებულებას;
- საჭიროების გარეშე არ უნდა გამოიყენოთ გამეორებები;
- თავი აარიდეთ ზედმეტად ემოციურ მსჯელობას;
- გამოხატეთ პატივისცემა შესაძლო ოპონენტებისა და მკითხველის მიმართ.

სავარჯიშო:

მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ თეზისი და არგუმენტები:

გარემოს დაბინძურება, ნაგავი, მოქალაქეები, ნაგვის დაყრა, გულგრილი დამოკიდებულება, ქალაქი, გაფრთხილება, საჭიროება, სანაგვე ყუთები, სამშენებლო ნარჩენები, მანქანების გამონაბოლქვი, გაუმართავი ავტომობილები, ქუჩა...

სავარჯიშო:

მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ თეზისი და არგუმენტები:

მოწვევა, აკრძალვა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, ჯანმრთელობა, დაავადება, ფილტვის კიბო, სისხლის გათეთრება, ორსულები, ბავშვები, მავნე ზემოქმედება, პასიური მწვეველი, გაფრთხილება, სტატისტიკა, მეცნიერების დასკვნა, თამბაქო, ბოლი, სიგარეტი.

სავარჯიშო:

გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო ენობრივი საშუალებები:

ინტერნეტი თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა -----
----- მასზე დამოკიდებულებაც ხდება. ----- ეს იმ ადამიანებს
ემართებათ, რომელთაც პრობლემები აქვთ საზოგადოებასთან და რეალურ სამყაროსთან. -----
----- ისინი ისვენებენ და თავს აფარებენ ვირტუალურ სამყაროს. -----

----- ინტერნეტი შეიძლება გახდეს იმედების, სურვილების ასრულების და, -----
-----, შიშისა და დეპრესიის საგანი. ----- ინტერნეტი
ინფორმაციის წყაროა. ----- მისი წყალობით შევძელი ევროპის ღირშე-
სანიშნაობების დათვალიერება, უცხოეთში მცხოვრები ადამიანების გაცნობა, ახალი
მეგობრების შექმნა. ----- თუ ადამიანი რეალურ სამყაროს
ვირტუალურზე გაცვლის, ეს დეპრესიასაც გამოიწვევს. -----
შეიძლება მას სამყაროსთან ურთერთობის შიშიც გაუჩნდეს. არსებობენ სუსტი ფსიქოლოგიის
ადამიანები, რომელთაც უჭირთ ყოფითი პრობლემების დაძლევა. -----
----- ინტერნეტი არის უმარტივესი გზა, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ თავი და-
აღწიონ სხვადასხვა გართულებასა და სიძნელეს, რომლებსაც ცხოვრება გვთავაზობს. ამ
მომენტში, ინტერნეტი იქცევა საგნად, რომელზე დამოკიდებულებაც ხდება სუსტი ნებისყოფის
ადამიანი.

----- როგორც ყველაფერს ამქვეყანაზე, ინტერნეტსაც აქვს
უარყოფითი მხარეები. ----- ის იმდენის საშუალებას აძლევს
მომხმარებელს, რომ ადამიანს სულ უფრო ნაკლები მიზეზი რჩება გარეთ გამოსასვლელად და
ის შეიძლება გაზარმაცდეს კიდევ. ----- ინტერნეტმა
თანამედროვე ცხოვრებაში წიგნების როლი იკისრა. საზოგადოებაც ორ ნაწილად გაიყო. -----
-----ეს ძალიან ცუდია, ის რის მიცემაც წიგნს შეუძლია
მკითხველისთვის, ინტერნეტი ვერასოდეს მისცემს თავის მომხმარებელს. -----
----- ოცდამეერთე საუკუნეში აუცილებელიც არის, რომ წიგნი კომპიუტერით
შეიცვალოს. ----- თუ ადამიანი საკითხავ მასალას ინტერნეტის
საშუალებით ეძებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფურცლიდან კითხვას მას მონიტორზე კითხვა
ურჩევნია. ----- ეს ორი მომენტი ერთმანეთს არ გამორიცხავს.
ადამიანმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ისე უნდა მოიპოვოს, როგორც შეუძლია.

სავარჯიშო:

*მოცემულია კაცობრიობის ასამდე ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება. თქვენი აზრით, ამ
სიიდან რომელია სამი ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ ფიქრობთ ასე? პასუხი
დაასაბუთეთ სათანადო არგუმენტებით:*

ქვის ცული (1,5 მილიონი წლის წინ), შუბი (400 000 წლის წინ), დანა (200 000 წლის წინ),

წებო (არაუგვიანეს 80 000 წლის წინ), ჩაქუჩი (60 000 წლის წინ), ბურღი (არაუგვიანეს 40 000 წლის წინ), მუსიკალური ისტრუმენტები (არაუგვიანეს 37 000 წლის წინ), სანთებელა (32 000 წლის წინ), ნემსი, მახათი (25 000 წლის წინ), მშვილდ-ისარი (არაუგვიანეს 20 000 წლის წინ), ლამფა (არაუგვიანეს 17 000 წლის წინ), ქვაბი (არაუგვიანეს 16 000 წლის წინ), ნავი (არაუგვიანეს 8 000 წლის წინ), ბადე (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 6800 წელს), საქსოვი მოწყობილობა (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 6000 წელს), სარკე (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 6000 წელს), მადნის დამუშავება (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 5 000 წელს), გუთანა (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 4000 წელს), ბორბალი ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 3650 წელს), უღელი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 3500 წელს), აფრა (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 3200 წელს), ხერხი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 2500 წელს), საპონი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 2500 წელს), სამკურნალო აბი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 1550 წელს), ჩარხი (ხის დასამუშავებლად) (ავარაუდოდ ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 1500 წელს), წყლის ბორბალი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 1200 წელს), კომპასი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 475 წელს), საანგარშო (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 300 წელს), ბეტონი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 150 წელს), ქალაღი (ჩვენს წელთ აღრიცხვამდემდე 140 წელს), შუშა (პირველ საუკუნეში), უნაგირი (მე-3-ე საუკუნეში), ქარის წისქვილი (სავარაუდოდ მე-9-ე საუკუნეში), დენთი (800 წელს), რაკეტა (1000 წელს), სტამბა (1041 წელს), მექანიკური საათი (1280 წელს), სათვალე (1280 წელს), მიკროსკოპი (1590 წელს), საპირფარეშო (1596 წელს), თერმომეტრი (1600 წელს), ტელესკოპი (1608 წელს), ინვალიდის სავარძელი (1655 წელს), სარეცხი მანქანა (1677 წელს), საბეჭდი მანქანა (1714 წელს), ავტომანქანა (1769 წელს), ბატარეა (1799 წელს), რკინიგზის ტრანსპორტი (1804 წელს), კონსერვის ქილა (1810 წელს), ფოტოაპარატი (1826 წელს), მაცივარი (1834 წელს), ტკვილ გამაყუჩებელი (1846 წელს), თვითმფრინავი (1849 წელს), შპრიცი (1853 წელს), ლიფტი (1854 წელს), ველოსიპედი (1863 წელს), ღილი (1870 წელს), ტელეფონი (1876 წელს), ნათურა (1879 წელს), (კინო)კამერა (1886 წელს), რენდგენის აპარატი (1895 წელს), რადიო (1896 წელს), რადარი (1904 წელს), პლასტმასი (1907 წელს), ტელევიზორი (1925 წელს), ოპტიკური ბოჭკო (1930 წელს), კომპიუტერი (1941 წელს), ატომრეაქტორი (1942 წელს), ფოტოელემენტი (1954 წელს), ხელოვნური თანამგზავრი (1957 წელს), ლაზერი (1960 წელს), 3-განზომილებიანი პრინტერი (1986 წელს), ნანოძრავა (2000 წელს).

სავარჯიშო:

მართებულია თუ არა მოყვანილი თეზისები? პასუხი დაასაბუთეთ არგუმენტებით.

თბილისში არ არის ბევრი პარკი.

საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა.

უმალესი განათლება ყველასთვის არ არის აუცილებელი.

სამედიცინო მკურნალობა სახელმწიფოში უნდა იყოს უფასო.

შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების გადაადგილებისთვის საქართველოს ქალაქებში არ არის სათანადო პირობები.

სავარჯიშო:

შევსეთ გამოტოვებული ადგილი და თეზისის მხარდასაჭერად ჩამოწერეთ 4 არგუმენტი:

----- არის ჩემთვის სპორტის ყველაზე საყვარელი სახეობა.

სავარჯიშო:

განავრცეთ მსჯელობა სათანადო არგუმენტებით:

ყოველ თაობას თავისი განსხვავებული მენტალობა, ხედვა და პრინციპები აქვს. იმას, რაც მოსწონს უფროს თაობას, ხშირად უარყოფენ ახალგაზრდები, არ ეთანხმებიან და თამამად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. ახალგაზრდები ხშირად აკრიტიკებენ უფროსებს, უფროსები კი თითქმის ყველაფერს უწუნებენ მათ. ეს თაობათა შორის აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი ხდება, რაც ზოგჯერ იწვევს კონფლიქტს.

სავარჯიშო:

განავრცეთ მსჯელობა სათანადო არგუმენტებით:

ახალი წელი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც დიდი და პატარა დიდი სიხარულით ელოდება. ამ დროს ყველაფერ ცუდს, არასასიამოვნოს წარსულში ვტოვებთ და ვითვლით წუთებს, წამებს, რომ მომავალს, ახალს იმედით გავხედოთ. რა დასამალია და ბავშვებთან ერთად თვლის პაპისა თუ სანტა კლაუსის მობრძანებას, მათ საჩუქრებს უფროსებიც მოუთმენლად ელიან.

სავარჯიშო:

მოცემულ თემაზე შექმენით თეზისი, განავრცეთ თეზისი და ჩამოაყალიბეთ სათანადო არგუმენტები:

კარგი იდეაა თუ არა ლატარეის გათამაშება?

სავარჯიშო:

მოცემულ თემაზე შექმენით თეზისი, განავრცეთ თეზისი და ჩამოაყალიბეთ სათანადო არგუმენტები:

რომელ პროფესიას აირჩევთ და რატომ?

სავარჯიშო:

მოცემულ თემაზე შექმენით თეზისი, განავრცეთ თეზისი და ჩამოაყალიბეთ სათანადო არგუმენტები:

ცვლის თუ არა კინოფილმი წიგნს? რატომ ფიქრობთ ასე?

სავარჯიშო:

მოცემულ თემაზე შექმენით თეზისი, განავრცეთ თეზისი და ჩამოაყალიბეთ სათანადო არგუმენტები:

რა იწვევს მოზარდებში ძალადობას? რატომ?

სავარჯიშო:

მოცემულ თემაზე შექმენით თეზისი, განავრცეთ თეზისი და ჩამოაყალიბეთ სათანადო არგუმენტები:

უნდა აიკრძალოს თუ არა 18 წლამდე ასაკის მოზრდებისათვის ალკოჰოლური სასმელების დალევა ბარებსა და გასართობ კლუბებში?

სავარჯიშო:

დაასრულეთ მოყვანილი არგუმენტი:

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია ტურიზმის განვითარებაა. დღეს საქართველოში უამრავი ტურისტი ჩამოდის.

სავარჯიშო:

მოყვანილი არგუმენტებიდან რომელია არაადეკვატური? დაალაგეთ არგუმენტები ლოგიკური თანმიმდევრობით და ისე გადაწერეთ ტექსტი:

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში 0.74 ± 0.18 °C-ით გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის (IPCC) დასკვნით, „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ადამიანის მიერ ატმოსფეროს დაბინძურებით. ჩვენ არ ვუფრთხილდებით თბილისს, საკუთარ გარემოს, ქუჩაში ვყრით ნაგავს, შედეგად კი ჩვენი ქალაქი კარგავს იერსახეს და შეიძლება არამიმზიდველიც კი იყოს ტურისტებისთვის. გარდა ამისა, სითბური აირების დაგროვებით ძლიერდება ატმოსფეროს სითბური ეფექტი, რაც ატმოსფეროს გახურებას იწვევს. ამავე დროს, გარემოს აბინძურებს ატომური ნარჩენები და რადიოაქტიული ნივთიერებები. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გლობალური დათბობა გამოწვეულია ატმოსფეროში ნახშირორჟანგის, CO₂-ის, მომატებით, რაც ასუსტებს ატმოსფეროს ზედა შრეს, ფენას. ამას შედეგად მოსდევს დათბობა დედამიწაზე. ამის გამო, 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1 – 6,4 °C-ით.

მსჯელობის შეჯამება

წერილობით ტექსტში მსჯელობის განვითარებისას შესაძლებელია რამდენიმე თეზისის შექმნა. თითოეულ თეზისს ახლავს თეზისის განვითარება, არგუმენტირებული მსჯელობა და მსჯელობის შეჯამება.

მსჯელობის შეჯამება ნიშნავს კონკრეტული აზრის განვითარების თავმოყრას და ერთგვარი დასკვნის სახით წარმოდგენას. მსჯელობის შეჯამება მიზნად ისახავს მკითხველისათვის ინფორმაციის დაზუსტებას, განმეორებას, კიდევ ერთხელ შეხსენებას, მისი ყურადღების გამახვილებას, სათქმელის კიდევ უფრო გამოკვეთას.

ენობრივი საშუალებები:

მსჯელობის შეჯამებისას გამოგვადგება შემდეგი ენობრივი საშუალებები:

აზრის მტკიცება	მართლაც დიახ ნამდვილად ფაქტობრივად
აზრის შეჯამება	ბოლოს დაბოლოს ერთი სიტყვით შეიძლება ითქვას, რომ ასე რომ ამრიგად ამგვარად დასასრულ როგორც ზემოთ ითქვა უფრო მეტიც მით უმეტეს მოკლედ

სავარჯიშო:

გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო ენობრივი საშუალებები:

თქვენი შვილი ცოტას კითხულობს? დარდობთ რომ თქვენი შვილი ცოტას კითხულობს?

-----ნუ შეშინდებით, ზაფხული საუკეთესო პერიოდია

იმისთვის, რომ პატარებმა თვალსაწიერი გაიფართოვონ, თქვენ კი მაქსიმალურად უნდა შეუწყოთ ამაში ხელი. -----შეუქმენით ბავშვებს მყუდრო და კომფორტული გარემო. -----გაიხსენეთ, როდის გრძნობდით თავს ყველაზე დაცულად და უზრუნველად მის ასაკში...----- რამდენად სასიამოვნო იყო სადმე, დახურულ სივრცეში შეძრომა და საინტერესო წიგნის კითხვა... მოგზაურობა ფერად ქვეყნებში და თამაში სხვა და სხვა გმირებთან. -----ბავშვის ფანტაზიას და წარმოსახვას გასაღვივებლად სპეციალური გარემო სჭირდება და სწორედ ესაა თქვენზე დამოკიდებული... ----- დღევანდელ ბავშვებს მხოლოდ კომპიუტერი და ტექნიკა ხიბლავს, დააინტერესეთ ისინი სპეციალურად მათთვის მოწყობილი ოთახის დიზაინით და აუხსენით, რომ ეს სწორედ ის გარემოა, რომელშიც მათი განვითარებისა და განათლების პროცესი, თამაშთან ერთად, უნდა წარიმართოს. ----- შეიძინეთ მათთვის საწოლები, რომლის ქვეშაც მოეწყობა "საიდუმლო შტაბი", წიგნების წასაკითხად და ლიტერატურის სამყაროში გადასანაცვლებლად... ----- მოიფიქრეთ რაიმე ისტორია, რომლის მიხედვითაც, ვთქვათ, ორ კვირაში ერთხელ, ამ შტაბში ახალი წიგნი "გაჩნდება" და დააწესეთ რაიმე "ჯილდო" რომელსაც წიგნის წაკითხვის შემდეგ, იდუმალი შტაბის პატრონი "გამომუშავებს". ----- ასეთ ცდუნებას ვერც ერთი ბავშვი გაუძლებს. ----- მას ნამდვილად მოუნდება საინტერესო წიგნის წაკითხვა ზღაპრულ გარემოში.

სავარჯიშო:

შეჯამეთ ტექსტი:

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 51 00-ით გაიზარდა და 4 436 400 კაცი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი 2009 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 1,2 პროცენტით აღემატება. ქვეყნის მოსახლეობის 53 პროცენტი, ანუ 2 350 500 კაცი ქალაქში, ხოლო 47 პროცენტი, ანუ 2 085 900 კაცი სოფელში ცხოვრობს.

მოსახლეობის ყველაზე დიდი, 3,4 პროცენტით მატება 2009 წლის 1 იანვართან შედარებით, მცხეთა-მთიანეთში, აღინიშნება. მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი 2,3; მესამეზე კი სამცხე-ჯავახეთი 1,5 პროცენტით.

მოსახლეობის უმნიშვნელო შემცირება შიდა ქართლისა (0,8 პროცენტი) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში (0,2 პროცენტი) აღინიშნება, რაც, ძირითადად, აღნიშნული რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციით არის გამოწვეული.

სავარჯიშო:

შეჯამეთ ტექსტი:

მეოცე საუკუნეში გაჩნდა ახალი დაავადება - ინტერნეტზე დამოკიდებულება. აუცილებელია იცოდეთ ინტერნეტ-მიჯაჭვულობის სიმპტომები: დროის კონტროლის შესაძლებლობის დაკარგვა, რომელსაც ინტერნეტში ატარებთ. როცა ინტერნეტში არ ხართ: უძილობა, კომპარები, გაღიზიანება, გუნება-განწყობილების ვარდნა, თავის ტკივილები.

თანდათანობით, მაგრამ გამუდმებული სწრაფვა იმ დროის გაზრდისა, რასაც ინტერნეტში ატარებთ.

ინტერესის დაკარგვა იმ ალტერნატიული დროის გატარებისა, რომლებიც ადრე სიამოვნებას განიჭებდნენ.

თუ აღარ შეგიძლიათ ინტერნეტში გატარებული დროის შემცირება მაშინაც კი, როცა ამის გაკეთება ნამდვილად გინდათ.

თუ ზემოთ აღნიშნული ნიშნებიდან სამი მაინც შენიშნეთ საკუთარ თავს, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ: ინტერნეტ-მიჯაჭვულობა გიყალიბდებათ.

ეს კი შესაბამისად იმას ნიშნავს, რომ ძალიან მალე ვეღარ შეამჩნევთ, თუ როგორ გადის დრო მონიტორთან, შეწყვეტთ სტუმრად სიარულს, სახლის დალაგებას და სულ ერთი გახდება, თუ რა გაცვიათ, დაბანილი ხართ თუ არა და ა.შ.

სავარჯიშო:

ააგეთ მსჯელობა მოცემულ თემებზე: თეზისი, თეზისის განვითარება, არგუმენტი, შეჯამება:

უნდა მისდიოს თუ არა ადამიანმა მოდას? უნდა ჩაიცვას თუ არა ადამიანმა მოდურად?

სავარჯიშო:

ააგეთ მსჯელობა მოცემულ თემებზე: თეზისი, თეზისის განვითარება, არგუმენტი, შეჯამება:

უნდა მისდიოს თუ არა ადამიანმა მოდას? უნდა ჩაიცვას თუ არა ადამიანმა მოდურად?

საკუთარი პოზიციის გამოხატვა


მსჯელობის აგება და განვითარება თავისთავად გულისხმობს საკუთარი პოზიციის, დამოკიდებულების გამოხატვასა და დაფიქსირებას. პირადი დამოკიდებულება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული. იგი შეიძლება გადმოსცემდეს ფაქტისადმი ან მოვლენისადმი მთქმელის დამოკიდებულებას, გამოთქვამდეს ერთგვარ შეფასებას, ვარაუდს, უტყუარი ფაქტის სახით წარმოაჩენდეს ან აკონკრეტებდეს სათქმელს. გახსოვდეთ, რომ მსჯელობის შემცველი ტექსტი თქვენი პოზიციის გამოხატვის გარეშე არასრულყოფილად ითვლება. ეცადეთ, თქვენეული შეფასება და დამოკიდებულება გამოხატოთ ნათლად, კონკრეტულად, მკაფიოდ, რათა მკითხველს ადვილად შეეძლოს მისი აღქმა და გაგება.

მთქმელის პოზიცია	ჩემი აზრით მე ვთვლი, რომ ვეთანხმები არ ვეთანხმები ჩემთვის მიუღებელია არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ვიზიარებ გმირის პოზიციას
შეფასება მთქმელის პოზიციიდან	სამწუხაროდ საბედნიეროდ საუბედუროდ
ვარაუდი	ვვარაუდობ როგორც ჩანს მგონი ჩანს ალბათ ეტყობა თუ არ ვცდები როგორც ვხედავთ ერთი შეხედვით
უტყუარი ფაქტი	რასაკვირველია რა თქმა უნდა ცხადია თავისთავად ცხადია უეჭველია მართლაც
დაკონკრეტება	უფრო სწორად რომ ვთქვათ ასე ვთქვათ უკეთ რომ ვთქვათ უფრო სწორად

სავარჯიშო:

გამოხატეთ საკუთარი პოზიცია მოცემულ თემებთან დაკავშირებით:

- უნდა იყოს თუ არა სტუდენტებისათვის უფასო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი უმაღლეს სასწავლებელში?
- აქვს თუ არა მნიშვნელობა ასაკს ურთიერთობებისთვის?
- ამართლებთ თუ არა კონკურენციას სამსახურში?
- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლისას საჭიროა თუ არა საშინაო დავალებების შესრულება?



გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო ენობრივი საშუალებები:

----- რომ ქალები და მამაკაცები ენას განსხვავებული მიზნით იყენებენ. ----- ქალისთვის მეტყველება პიროვნული ურთიერთობების ატრიბუტია, მამაკაცი, პირიქით, მეტყველებას იყენებს კონკრეტული სიტუაციის გასაკონტროლებლად და სტატუსის ასამაღლებლად. ამის მიზეზად კი მიჩნეულია კომუნიკაციური სტილების თავისებურებები: ჩართულობა და დამოუკიდებლობა.

----- ქალები ამ თვალსაზრისით უფრო ჩართულნი არიან კომუნიკაციაში, მამაკაცები კი შედარებით დამოუკიდებლები არიან. -----

----- მიმართებაში ადამიანი → მეტყველება - ----- წამყვანი მნიშვნელობის მქონეა სოციალური ფაქტორი: ქალი - გახსნილ სოციალურ ურთიერთობებზეა ორიენტირებული, მამაკაცი - ქმნის ამ სოციალურ სტრუქტურას და თვითონ ქმნის გარკვეული შაბლონებს. ----- გადამწყვეტია ფსიქოლოგიური ფაქტორი: -----

----- ქალი აზროვნებს ვერბალურად, მამაკაცი კი - ცნებებით. ცნობილია ----- ქალი ლინგვისტურად უფრო სწრაფია, ვიდრე მამაკაცი, ანუ უფრო სწრაფად ითვისებს უცხო ენებს. გაცემულ კითხვებზე ქალს ყოველთვის უფრო მეტი პასუხი აქვს, ვიდრე კაცს. ----- ქალებს პასუხები ყოველთვის ერთნაირი აქვთ, ქალები თითქმის ყოველთვის ერთნაირი ტიპის ფრაზებს იყენებენ. -----

----- ზემოაღნიშნული ერთ - ერთი განსაზღვრელი ფაქტორია იმ თავისებურებებისა, რომლებიც განასხვავებს ქალებისა და მამაკაცების მეტყველებას.

ვრცელი წერილობითი ტექსტის სტრუქტურა:

შესავალი

ძირითადი ნაწილი

დასკვნა

ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ნაწილისაგან - შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა:

შესავალი

შესავალს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. მასში გამოკვეთილია მიზანი, დასმულია საკითხი ან მოცემულია ესეში განსახილველი ძირითადი დებულებები. შესავალი ნაწილის დანიშნულებაა, მკითხველი დადებითად განაწყოს ტექსტისადმი, გაუღვივოს ინტერესი და შეუქმნას მოტივაცია იმისათვის, რომ ნაშრომი ბოლომდე წაიკითხოს. არსებობს რამდენიმე მარტივი გზა იმისათვის, რომ შესავალი ეფექტური გამოვიდეს:

- შესავალში უნდა გამოკვეთოთ მიზანი, ანუ თავიდანვე უნდა გააცნოთ მკითხველს, თუ რა საკითხს ეხება ტექსტი;
- დასვით შეკითხვა, რომლის შესახებაც შეიძლება ისაუბროთ ესეში;
- დაიწყეთ შესავალი მკითხველისათვის ნაცნობი სიტუაციის აღწერით, რათა მიიზიდოთ და დააინტერესოთ იგი;
- მხოლოდ ამის შემდეგ უჩვენეთ მკითხველს, რომ სიტუაცია იშლება, ვითარდება, საკითხი ღრმავდება. თქვენი ესე მოწოდებულია იმისათვის, რომ მკითხველმა ამომწურავი პასუხი მიიღოს ესეს ძირითად ნაწილში.

• ეცადეთ, მოიფიქროთ ორიგინალური დასაწყისი, რომელიც მკითხველს აღუძრავს ინტერესს. ეცადეთ გამოიყენოთ ორიგინალური იდეა ან განსახილველი პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულება. შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტიც კი შექმნათ და მათ შორის ამოარჩიოთ საუკეთესო.

• მოერიდეთ შაბლონურ და პათეტურ წინადადებებს. ეს დაბალ ენობრივ კულტურაზე მიანიშნებს და გემოვნებიან მკითხველში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

• მოერიდეთ ზოგად და ბუნდოვან ფრაზებს. ამის სანაცვლოდ ეცადეთ, თქვენი ნააზრევი დაიწყოთ ორიგინალურად, მარტივად და, ამასთანავე, ნათლად. გეგმაშივე მიუთითეთ, თუ როგორ დაიწყებთ თქვენს სათქმელს, რადგან ეს იმპულსს მოგცემთ მსჯელობის შემდგომი განვითარებისათვის, ამასთანავე, სწორედ პირველივე ნაწილით განისაზღვრება სტილი და ესეს ტიპი. სწორედ მისი მეშვეობით მყარდება კავშირი მკითხველთან.

- შესავლის შექმნის დროს კარგად უნდა გქონდეთ ჩამოყალიბებული თქვენი მიზანი, რომელიც შეიძლება პუნქტებადაც ჩამოაყალიბოთ. შესავლით, ფაქტობრივად, თქვენ ამზადებთ მკითხველს ესეის ძირითად ნაწილზე გადასასვლელად.
- თუ ფიქრობთ, რომ თქვენი თემა ან განსახილველი საკითხი უცნობია პოტენციური მკითხველისათვის, აუცილებელია შესავლის შექმნისას გაითვალისწინოთ ეს და მას თავიდანვე მიაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია, რათა მკითხველი მზად იყოს უფრო კონკრეტული ან დეტალური ინფორმაციის ან ანალიზის მისაღებად და აღსაქმელად.

➤ იმისათვის, რომ შესავალი ეფექტური იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი საშუალებები:

- ცნობილი გამონათქვამი;
- შეკითხვა;
- ფაქტები და სტატისტიკა;
- რაიმე ცნობილი ისტორია ან პირადი გამოცდილება.

ძირითადი ნაწილი

ძირითად ნაწილში მოცემულია ავტორის მთავარი სათქმელი, განმარტებული და დასაბუთებულია მთავარი დებულებები, ლოგიკურად განვითარებულია მსჯელობა, აქვე გადმოცემულია ავტორის დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი და წარმოდგენილია იგი სხვა ავტორების მოსაზრებებთან მიმართებით.

- ძირითად ნაწილში ჩამოაყალიბეთ ის დებულებები, რომლებიც შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს და მას დაეყრდნოს შემდგომ განვითარებული მოსაზრებები.
- შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ნაწილში ხდება ესეის გაშლა, მსჯელობის განვითარება, არგუმენტაცია, გარკვეული პრინციპით დაჯგუფებული მასალის ანალიზი, პარალელების მოხმობა. ზემოთ ნათქვამი მიგვანიშნებს, რომ ეს არის ესეის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ აქ უნდა განავითაროს ავტორმა შესავალში მოცემული ძირითადი დებულებები.
- ძირითად ნაწილში მიუთითეთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ამა თუ იმ წყაროს მიმართ, რათა ესე არ დაემსგავსოს სხვათა მოსაზრებების გამეორებას.
- ძირითად ნაწილში წარმოდგენილი ნებისმიერი დებულება აუცილებელია გავამყაროთ **არგუმენტებით**. თქვენი მსჯელობისათვის საჭირო არგუმენტი უმჯობესია მოკლედ მაინც მიუთითოთ გეგმაში, რათა არ დაგავიწყდეთ და შემდგომ მისი გაშლა ადვილად შეძლოთ. უფრო ვრცლად არგუმენტის შექმნის შესახებ საუბარი იქნება ცალკე თავში.

ამ ნაწილის შექმნისას ავტორს დაეხმარებათ შემდეგი საშუალებები:

- მაგალითები;

- ფაქტები და სტატისტიკა;
- გარკვეული სიტუაციის გადმოცემა;
- მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნები;
- ვარაუდი;
- სხვათა მოსაზრებები,
- წყაროები და ა. შ.

დასკვნითი ნაწილი

ესე დასრულებისათვის აუცილებელია სათქმელის ლოგიკური შეჯამება, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბება ძირითადი დებულებები და გამოიკვეთება ავტორის პოზიცია. ეს მკითხველს უადვილებს კარგად აღიქვას და მთლიანობაში გაიზროს დასმული საკითხის არსი, შეჯერებული სახით მიიღოს ინფორმაცია. დასკვნით ნაწილში ტექსტის შემქმნელმა კიდევ ერთხელ უნდა გამოკვეთოს საკვლევი თემის მთავარი მიზანი, რათა თვალნათლივ წარმოაჩინოს კვლევის აქტუალობა. აქვე შესაძლებელია მკითხველს შევთავაზოთ კვლევის პერსპექტივები. ამდენად, შემაჯამებელი ნაწილი ისეთივე მნიშვნელოვანი კომპონენტია ტექსტისა, როგორც სათაური და ძირითადი ნაწილი.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ დასკვნითი ნაწილი ერთგვარად შეჯამებაა ესეში გადმოცემული მოსაზრებებისა, რომლებიც მკითხველს კიდევ ერთხელ ხაზგასმით უკონკრეტებს ავტორისეულ მიზანს, წარმოაჩენს თემის აქტუალობას და სახავს პერსპექტივას.

დასკვნითი ნაწილი მოცულობით არც ისე დიდია და მასში კონცენტრირებული უნდა იყოს ძირითადი სათქმელი. დასკვნითი ნაწილის შედგენისას გახსოვდეთ:

- ძირითადი ნაწილიდან გამოიყენეთ თქვენი მიზნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ან მოსაზრება;
- ეცადეთ სიტყვასიტყვით არ გადმოწეროთ ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული დასკვნა და გამოხატოთ იგი სხვა წინადადებებითა და ენობრივი საშუალებებით;
- გაითვალისწინეთ, ესე დასკვნითი ნაწილი ისეთივე ორიგინალური და შთამბეჭდავი უნდა იყოს, როგორც შესავალი და, ამასთანავე, ლოგიკური დასკვნების პარალელურად ნუ მოერიდებით სუბიექტური პოზიციის გამოხატვასაც.

იმისათვის, რომ დასკვნითი ნაწილი ეფექტური იყოს, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი საშუალებები:

- ძირითადი დებულებების გამეორება;
- დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
- პრობლემის გადაჭრის შეთავაზება;
- რეკომენდაცია;
- წინასწარი ვარაუდის გამოთქმა;
- პერსპექტივების დასახვა.

ვრცელი ტექსტის ნიმუში:

კლიმატური ცვლილებები, გლობალური დათბობა და ჩვენი ჯანმრთელობა

გლობალური დათბობა და საშუალო ტემპერატურის ზრდა ჩვენი ჯანმრთელობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. კლიმატის ცვლილება ხელს უწყობს გარკვეული ინფექციური დაავადებების გავრცელებას.

აგრეთვე, საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდის შედეგად გულ-სისხძარღვთა, ნევროლოგიური, ფილტვების და საწარმოო დაავადებების ზრდა დაფიქსირდა.

ზრდა განაპირობა ატმოსფეროში ნახშიროჟანგის (CO₂) მატებამ. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ატმოსფეროში ნახშიროჟანგის პერმანენტული ზრდა დაფიქსირდა, რაც სხვადასხვა საწვავისა და ინდუსტრიული საქმიანობის გამოყენებამ განაპირობა.

ეს უკანასკნელი კი სათბურის ეფექტს იწვევს. საშუალო გლობალური ტემპერატურის 0.3-დან 0.6 გრადუს ცელსიუსამდე მეტებამ ბოლო 100 წლის მანძილზე ატმოსფეროს დათბობა, პოლარული ყინულის დნობა და ზღვის დონის მომატება გამოიწვია.

თანამედროვე კვლევების შედეგად ნიუ იორკის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ გლობალური ტემპერატურის მუდმივი ზრდა სიკვდილიანობასა და დაავადებებს გაზრდის. ეს ფენომენი არსებული ეკო-სისტემის ცვლილებას და ჩვენი ჯანმრთელობისთვის პირდაპირ საფრთხეს იწვევს.

მათი პროგნოზით კლიმატური ცვლილებების ფონზე გაიზრდება ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობაც. საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდის შედეგად ტროპიკული ზონების რაოდენობა შემცირდება, რაც, თავის მხრივ, მცენარეული საფარის ცვლილებასაც გამოიწვევს.

მუდმივი დაავადებების ზრდა მიკროორგანიზმებში, რომლებიც ახალ კლიმატურ პირობებთან თვითადაპტაციას ახდენენ, ცვლილებების შედეგი იქნება.

გარკვეული მიკროორგანიზმების ცხოვრების ციკლი კლიმატის დათბობასთან ერთად შეიცვლება. კოლოებისა და მღრღნელების მიერ გადატანილი დაავადებების უფრო ფართო გავრცელება დაფიქსირებული. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ იმის ალბათობას, რომ ერთ დროს ეფექტურად აღმოფხვრილი დაავადებები ისევ არ იჩენენ თავს.

ატმოსფეროში ოზონის შემცირება ინფექციების მიმართ მგრძობიარობის მომატებას უკავშირდება. გლობალურმა დათბობამ შესაძლოა მიკროორგანიზმებისა და ბაქტერიების პოპულაციის ზრდამდე მიგვიყვანოს. ამ ორი ფენომენის კომბინაცია ინფექციის ზრდას გამოიწვევს.

კაცობრიობის საქმიანობა გარემოს სერიოზულ ზიანს აყენებს. ოზონის შემცირება და გლობალური ტემპერატურის ზრდა სამწუხაროდ მუდმივ ფენომენს წარმოადგენს. მათი ბიოლოგიური ეფექტის გათვლა შეუძლებელია, ხოლო მათ ნეგატიურ შედეგს კაცობრიობაზე შესაძლოა სავალალო ეფექტი ჰქონდეს.

სავარჯიშო:

სათანადო ენობრივი საშუალებებით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ჭარბი წონა - დაავადება თუ მავნე ჩვევა

ჭარბი წონა მსოფლიოს მოსახლეობის ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად ტექნიკური და მეცნიერული მიღწევებისა, არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრაც არცთუ ისე ადვილია.

----- თითქმის არაფერი იცვლება და ჭარბწონიანი ადამიანი ისევ ხელჩაქნული მიუყვება ცხოვრების დინებას.

მხოლოდ ზოგჯერ თუ იფეთქებს სურილი სძლიო პრობლემას და ხანმოკლე, ხშირად სტრესული მცდელობის შემდეგ ისევ უბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას.

----- რას წარმოადგენს ჭარბი წონა და როგორ უნდა შევინარჩუნოთ ჯანსაღი იერი?

----- უნდა გავარკვიოთ რა იწვევს ჭარბ წონას? -----
დღეისათვის ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრობლემის განსხვავებულმა განხილვამ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი დაავადება მოიაზრება არა მხოლოდ სხეულის პრობლემად. -----
----- მისი გამომწვევი მიზეზების ძიება ხდება ადამიანის სულიერ დონესა და იმ სოციალურ გარემოში, სადაც პიროვნება ცხოვრობს.

----- სიმსუქნე, ანუ წონის მატება არა სხეულის დაავადება, არამედ თვითონ პიროვნების პრობლემაა. უფრო მართებულია დაავადების ნაცვლად, სიტყვა პრობლემის ხსენება...

სიმსუქნე - ეს არის რიგი მოვლენათა ურთიერთქმედების შედეგად მიღებული შეკრული წრის შედეგი. ----- სხეულის დონეზე, სიმსუქნის გამომწვევ უხშირეს მიზეზებს წარმოადგენს ენდოკრინულ, გენეტიკურ დაავადებათა ჯგუფი, რომელიც იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და განიცდის მორფოლოგიურ ან ფუნქციურ უკმარისობას, რაც საჭიროებს სპეციალისტების დახმარებას.

----- სიმსუქნის სხეულის დონეზე განხილვის შემთხვევაშიც, გვერდს ვერ ავუვლით პიროვნების ცხოვრების წესს, რაც გულისხმობს მისი სულიერი და სოციალური მდგომარეობის შეფასებას და საჭირო შესწორებების შეტანას.

----- რა იგულისხმება სიმსუქნის სულიერ, ანუ ფსიქოლოგიურ მიზეზებში?

----- ეს არის სტრესი, ან მცირე სტრესთა ერთობლიობა (დისტრესი), რომლის გამოც, ადამიანი კარგავს სიტუაციის მართვის უნარს და იძენს ამა თუ იმ მავნე ჩვევას: სიგარეტი, ალკოჰოლის გამოყენება, სხვა და სხვა მედიკამენტებით სტრესთან ბრძოლა და ფართოდ გავრცელებული გზა - ჭამა. ერთი შეხედვით, ჭამა ის პროცესია, რომელიც დახარჯული ენერჯის ანაზღაურებას ემსახურება, რათა ორგანიზმმა თავი გადირჩინოს ფიზიკური განადგურებისგან.

----- ენერჯული დეფიციტის, ენერჯის ნაკლებობის მაჩვენებელია შიმშილის გრძნობა, რომელიც იწვევს ორგანიზმის გადართვას საკვების მიღებაზე. მაგრამ ადამიანს, გარდა შიმშილის, ინსტიქტისა აქვს გრძნობათა ფართო სპექტრი და ერთ-ერთს წარმოადგენს მადა.

----- ხშირად ადამიანი საკვებს ღებულობს არა შიმშილის საპასუხოდ, არამედ მაღის დასაკმაყოფილებლად, რომლის მიღმაც იმალება რომელიმე პასუხგაუცემელი ემოცია.

----- ასეთი აჩქარებული ტემპისა და მექანიკის სამყაროში, ადამიანი ისე ძლიერ განიცდის მარტოობას, სასოწარკვეთას, უიღბლობას, ბრაზსა და ბოროტებას, -----

----- მისი რწმენა იმდენად არის დაკარგული, ისე დიდია მისი უნდობლობა, რომ საკვები, მაღის აღმძვრელი სუნითა და მოკაზმულობით მას მხსნელად ევლინება.

----- მადა სულაც არ არის საზიანო და მტერი, პირიქით, ის ემსახურება კულინარიის ხელოვნებას და ესთეტიკას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს უგროვდება უპასუხო ემოციები და საკვების მეშვეობით ცდილობს მათ ჩახშობას, მადა საკმაოდ ცუდი მეგობარია...

სავარჯიშო:

მისწერეთ წერილი მშობლებს, რომელშიც აუხსნით და დაუსაბუთებთ მათ, თუ რატომ გადაწყვიტეთ თქვენთვის სასურველ უნივერსიტეტში და თქვენთვის სასურველ ფაკულტეტზე სწავლა.



სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა აღწერითი ტექსტი

აღწერით ტექსტში ფაქტებისა და სტატისტიკის მეშვეობით მოცემულია დეტალური აღწერა და დაკვირვება.

აღწერითი ესეს შექმნისას, პირველ რიგში, კარგად უნდა განვსაზღვროთ, თუ რის შესახებ ვწერთ. შეიძლება აღწეროთ პიროვნება, ადგილი, შთაბეჭდილებები, გრძნობები, მოვლენები, გამოცდილება, საქმიანობა, მიზანი. მაგრამ გახსოვდეთ ნებისმიერ შემთხვევაში მთავარია თქვენი დამოკიდებულება და თქვენეული ხედვა.

რა თქმა უნდა, როცა რაღაც ფაქტს ან მოვლენას აღწერთ, თქვენ გაქვთ ამის განსაკუთრებული და კონკრეტული მიზეზი, ამიტომ ამ ტიპის ტექსტის შექმნისას აუცილებელია ამ მიზეზის დასახელება.

ამ ტიპის ტექსტში შესაძლებელია ჩანდეს თქვენი ემოციური დამოკიდებულებაც, შესაძლებელია გამოიყენოთ ემოციური ლექსიკაც და აღმატებითი ხარისხის ფორმებიც.

მაგალითად, თუ თქვენ გინდათ აღწეროთ და დაახასიათოთ ბაბუათქვენი, რა თქმა უნდა, თქვენ ყურადღებას გაამახვილებთ მის გარეგნობაზე, ფიზიკურ ფორმასა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარზე. თუმცა, ვიდრე დაიწყებდეთ ზოგად აღწერას, თქვენ გსურთ გადმოსცეთ თქვენი აღფრთოვანება მისი ძალითა და სიკეთით, თქვენი გრძნობები. სწორედ ეს იქნება თქვენი აღწერითი ტექსტის შექმნის მიზეზი. ერთი მხრივ, თქვენ შეგიძლიათ აღწეროთ მისი ხელები, დაულაღავი შრომისაგან გაუხეშებული, მეორე მხრივ, კი გაიხსენოთ, როგორ აყავდით ამ გაუხეშებული ხელებით და როგორ და რაზე გესაუბრებოდათ.

წერისას ყველაზე მეტი თავისუფლება სწორედ აღწერითი ტექსტის შექმნისას გეძლევათ, ეს ყველაზე მეტად სუბიექტური და ობიექტური ტექსტია. თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- აღწერა უნდა იყოს ამომწურავი
- შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი სახეები
- შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც კონკრეტული, ისე ზოგადი იდეები
- შეგიძლიათ უხვად გამოიყენოთ ზმნიზედები და ზედსართავი სახელები
- შეგიძლიათ უხვად გამოიყენოთ შედარებები და მეტაფორები
- აღწერით ტექსტში შესაძლებელია დროის ფორმების აღრევა
- აღწერით ტექსტში შესაძლებელია უშემასმენლო წინადადებების გამოყენება

ბუნებრივია, რომ თქვენი ტესტი არ უნდა იყოს გადაჭარბებული, არ უნდა ჩანდეს მხოლოდ თქვენი სუბიექტური დამოკიდებულება, ქება, აუცილებელია კონკრეტული ფაქტებიც.

გაითვალისწინეთ, რომ აღწერით ესეში არ უნდა ჩანდეს მხოლოდ მდგომარეობა, უნდა ჩანდეს პროცესი. მაგალითად, არ არის საკმარისი თქმა იმისა, რომ თქვენ დაღლილი ხართ

სამუშაო დღის შემდეგ. სასურველი და აუცილებელია, უფრო კონკრეტულად აღწეროთ თქვენი მდგომარეობა, თქვენ ძალა არ გაქვთ, თვალები გეხუჭებათ, ბევრი იმუშავებთ კომპიუტერთან და ახლა მხოლოდ დასვენება გინდათ.

როგორც წესი, აღწერისას გააქტიურებულია 5 შეგრძნება: მხედველობა, ხმა, სურნელი, შეხება, გემო. აღწერა ძირითადად სწორედ ამ შეგრძნებების მეშვეობით ხდება.

აღწერითი ტექსტის შექმნაში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:

ტექსტის დაგეგმვა:

- რისი ან ვისი აღწერა გსურთ?
- რა მიზეზით, რის გამო გსურთ აღწერა ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, პიროვნების?
- კონკრეტულად რაზე, რა მახასიათებლებზე გსურთ ყურადღების გამახვილება?

წერის პროცესის დაწყება:

- რომელი შეგრძნებებია (მხედველობა, ხმა, სურნელი, შეხება, გემო და შ.) მნიშვნელოვანი თქვენი აღწერისას?
- რა დეტალების გამოყენება დაგჭირდებათ აღწერისას, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნათ თქვენს სათქმელზე?

ნაწერის გადამოწმება:

- კარგად ჩანს არსი იმ ფაქტის, მოვლენის, პიროვნებისა, რომელიც აღწერეთ?
- საკმარისი დეტალები გამოიყენეთ მიზნის მისაღწევად?
- ხომ არ გამოგრჩათ რაიმე მნიშვნელოვანი?
- ეფექტურად და ლოგიკურად არის აგებული თქვენი ტექსტი?

აღწერითი ტექსტი, როგორც ნებისმიერი წერილობითი ტექსტი, შედგება შესავლის, ძირითადი ნაწერისა და დასკვნისაგან. გაითვალისწინეთ, რომ შესავალში ზოგადად მიმოიხილავთ საკითხს და მიუთითებთ იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც გადაწყვიტეთ ტექსტის შექმნა. ძირითად ნაწილში საუბრობთ კონკრეტულ დეტალებსა და ძირითად სათქმელზე. დასკვნაში გადმოსცემთ თქვენს მადლიერებას, გრძნობებს და ზოგადად, თქვენს სუბიერქტურ დამოკიდებულებას.

მაგალითი:

თბილისი XIX საუკუნეში ბურჟუაზიული ქალაქი

1801 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქართლი და კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. თბილისი კარგავს დედაქალაქის სტატუსს და იმპერიის საგუბერნიო ქალაქი ხდება.

XIX საუკუნეში თბილისი თანდათან კავკასიის რეგიონალურ დედაქალაქად გადაიქცა. აქვე გახლდათ კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენციაც.

XIX ასწლეულის თბილისი ტიპიური ბურჟუაზიული ქალაქია. ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა. იზრდება საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაც. ქალაქს უერთდება სოლოლაკი, კუკია, ჩუღურეთი, ხარფუხი და დიდუბე.

ძველ, ფეოდალურ თბილისს თავისი ბუნებრივი დომინანტები, შემკვრელი ხუროთმოძღვრული აქცენტები ჰქონდა: ნარიყალა და მეტეხი. ხუროთმოძღვრული ღერძი კი მტკვარი იყო. XIX საუკუნეში ქალაქის დომინანტი გოლოვინის პროსპექტი ხდება.

ამ პერიოდის თბილისი აქტიური კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებით ცხოვრობს. ძლიერდება ქართული პრესა. ცოცხლდება თბილისის თეატრალური ცხოვრებაც. იხსნება საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებები. ამუშავდა პირველი საქალაქო რკინიგზა "კონკა". 1887 წელს მწყობრში ჩადგა ავჭალის პირველი წყალსადენი. 1893 წელს კი მუშაობა დაიწყო თბილისის საქალაქო სატელეფონო სადგურმა. ამავე პერიოდში ქალაქში გამოჩნდა პირველი კერძო მსუბუქი ავტომობილები.

XIX საუკუნის თბილისი ძალზედ თავისებური, კოლორიტული, ევროპულ-აზიური ქალაქი იყო. "მადლიდან ქალაქი სადამოჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირადდნებულ პარიჟს.." წერს თავის მოგონებებში ფრანგი მოგზაური ემილ ლევიე. აქ ოდითგანვე ერთნაირი უფლებებითა და პატივისცემით სარგებლობდა სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანი. თბილისი იყო ქალაქი-ბოჰემა. აშუღები და საზანდარები... გოგირდის აბანოები... კინტოები და ყარაჩოღელები... გოლოვინის პროსპექტზე მოსეირნე ევროპულად ჩაცმული ქალბატონები და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თავადები... თბილისური გართობა: ყეენობა და ნაღლი...

თბილისი იყო სტუმართმოყვარე, საოცარი ქალაქი, რომელიც ხშირად პოეტებისა და მწერლების შთაგონების წყარო ხდებოდა.

ასე გვიახლოვდებოდა XX საუკუნე...

სავარჯიშო:

მოცემულია თემები. ამოირჩიეთ სამი მათგანი და შექმენით ვრცელი აწერითი ტექსტი

- საყვარელი ყვავილი
- საყვარელი ხე
- თქვენი საყვარელი საჭმელი
- თქვენი სახლი
- თქვენი სკოლა
- თქვენი ქალაქი/სოფელი
- თქვენი საყვარელი მასწავლებელი
- თვენი მეგობარი
- თქვენი საყვარელი მსახიობი
- თქვენი საყვარელი ისტორიული გმირი

შედარება დაპირისპირება

ამ ტიპის წერილობით ტექსტში ხდება ორი მოვლენის, ფაქტის და ა. შ. შედარება ან დაპირისპირება. მაგრამ, როგორც წესი, ძირითად შედარებაც და დაპირისპირებაც ერთად არის წარმოდგენილი.

შედარებისა და დაპირისპირების მეთოდს ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, მაშინ, როცა ვფიქრობთ, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბაროთ, რომელი მანქანა ვიყიდოთ, რომელი ტრანსპორტით ვიმგზავროთ და ა. შ.

შედარებითი და დაპირისპირებითი ტექსტები ეფუძნება რაიმე მოვლენის, ფაქტის, საგნის, ადამიანების, მოვლენების, მახასიათებლების და ა. შ. შეფასებას. ამ ტიპის ტექსტების მთავარი მიზანი არის ობიექტების მსგავსებებისა და განსხვავებების დაფიქსირება.

როგორ უნდა ავაგოთ შედარება და შეპირისპირება ტექსტში?

პირველ რიგში, განსაზღვრეთ რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვს ორ მოვლენას, ფაქტს და ა. შ. შემდეგ დაალაგეთ ისინი იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო მნიშვნელოვანი. ამ ტიპის ტექსტის აგება შესაძლოა ორგვარად: ჯერ შეიძლება ჩამოწეროთ მსგავსებები, შემდეგ განსხვავებები, ან დააჯგუფოთ მსგავსება-განსხვავება, მსგავსება-განსხვავება და ა. შ. იმის მიხედვით, თუ რამდენი მახასიათებლის გამოყოფა გასურთ.

მაგალითად:

შესავალი:

ძირითადი ნაწილი:

დასვენება მთაში:

კლიმატი

გარემო

დამსვენებლები

სხვადასხვა აქტივობა

გართობა

დასვენება ზღვისპირეთში:

კლიმატი

გარემო

დამსვენებლები

სხვადასხვა აქტივობა

გართობა

დასკვნა:

შედარებითი და დაპირისპირებითი ტექსტის შესავალ ნაწილში მოკლედ უნდა მიმოიხილოთ საკითხი, ჩამოთვალოთ ყველა მსგავსება და განსხვავება. ძირითად ნაწილში დეტალურად უნდა განიხილოთ თითოეული მათგანი. დასკვნით ნაწილში გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება თითოეული საკითხისადმი, თქვენეული შეფასება და ერთგვარი დასკვნა, თუ რომელ მათგანს ანიჭებთ უპირატესობას.

გაითვალისწინეთ, რომ თითო მსგავსებასა და განსხვავებაზე უნდა ააგოთ თეზისი, განავრცოთ თეზისი, შექმნათ არგუმენტი და შეაჯამოთ სათქმელი.

ამ ტიპის ტექტის შექმნისას პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოთ, თუ რომელ ვარიანტს ირჩევთ.

ბოლომდე მიყევით არჩეულ ვარიანტს და არ დაარღვიოთ ტექსტის თანმიმდევრობა.

აუცილებლად დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია

თქვენი დამოკიდებულება გადმოეცით ნათლად და კონკრეტულად.

ენობრივი საშუალებები

შედარება

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში... პარალელი შეიძლება გავავლოთ... თუ შევუდარებთ... ორივეგან ჩანს, რომ... ორივე შემთხვევაში იკვეთება... ორივე ფაქტს/მოვლენას აერთიანებს ის, რომ... მათ შორის ჩანს მსგავსებაც... აღნიშნულ მოვლენებს/ფაქტებს აქვს გადაკვეთის წერტილი... აშკარად ვლინდება მსგავსება...

დაპირისპირება

ერთი მხრივ... მეორე მხრივ... ერთი თვალსაზრისით... მეორე მოსაზრებით... ამ პოზიციიდან გამომდინარე... სამაგიეროდ... თუ... თუ ეს დებულება მისაღებია, მაშინ... ამის საპირისპიროდ... ამისაგან განსხვავებით... სრულიად საპირისპიროა... რადიკალურად განსხვავებულია... აშკარად ვლინდება განსხვავება...

სავარჯიშო:


დიდ კომპანიაში მუშაობა თუ საკუთარი ბიზნესი?

ცხოვრება დიდ ქალაქში თუ ცხოვრება პატარა ქალაქში?

დასვენება საზღვარგარეთ თუ საკუთარ ქვეყანაში?

სწავლა საზღვარგარეთ თუ მშობლიურ მშობლიურ ქვეყანაში?

კომფორტული დასვენება თუ დასვენება სავსე პირობებში?



რეკლამა

სარეკლამო ტექსტის შექმნა შეიძლება ნებისმიერ ნივთზე, მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სარეკლამო ტექსტს არ აქვს კომერციული ფუნქცია. იგი შეიძლება იყოს ერთგვარი მოწოდება კონკრეტული ქცევისკენ, საქციელისკენ, როგორც არის, მაგალითად, ტოლერანტობა ან კარგი მანერები. ცნობილია არაკომერციული რეკლამები პოლიტიკაში, სამთავრობო სტრუქტურებში. ყველა შემთხვევაში სარეკლამო ტექსტს ერთი მთავარი ფუნქცია აქვს.

მისი მიზანია მკითხველის მოზიდვა და დაინტერესება. ამ ტიპის ტექსტის შექმნის დროს ჩვეულებრივი ინფორმაცია უნდა აქციოთ ძალიან საინტერესოდ, მიმზიდველად, უნდა აიძულოთ მკითხველი, ყურადღება გაამახვილოს თქვენს გზავნილზე.

სარეკლამო ტექსტში მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ შეცვლის კონკრეტული პროდუქტი, სერვისი ან იდეა მომხმარებლის ცხოვრებას.

სარეკლამო ტექსტის შექმნამდე კარგად უნდა შეისწავლოთ ის, რის შესახებაც დაწერთ. მოიპოვეთ მაქსიმალური ინფორმაცია და დეტალები, შემდეგ კი გააანალიზეთ, რომელი უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება აუდიტორიისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ სარეკლამო ტექსტის შექმნა ერთგვარი შემოქმედებითი პროცესია, თუმცა აკადემიური წერის პრინციპები აქაც გასათვალისწინებელია.

გაითვალისწინეთ, რომ სარეკლამო ტექსტის შექმნისას გამოიყენება ვრცელი ტექსტის მხოლოდ ძირითადი ნაწილი, თუ ტექსტი პატარა მოცულობისაა, მხოლოდ თეზისი და თეზისის გავრცობა დაგჭირდებათ. ვრცელი ტექსტისას აუცილებელია დაწეროთ თეზისი, თეზისის განვრცობა, არგუმენტი, შეჯამება.

სარეკლამო ტექსტის შექმნისას ეცადეთ, თავი შეიკავოთ სუბიექტური შეფასებებისაგან.

იფიქრეთ მხოლოდ აუდიტორიასა და მის მოთხოვნებზე, მის შეხედულებებზე.

გამოიყენოთ ზედსართავი სახელები, ხარისხის ფორმები

სარეკლამო ტექსტი შეიძლება იყოს ემოციურიც.

წერეთ მარტივი წინადადებებით, გამოიყენეთ მარტივი ფორმები.

სათქმელი გადმოეციოთ დაწურულათ და კონკრეტულად.

არ დაუშვათ გრამატიკული შეცდომები.

მაგალითი:

გაინტერესებთ, რატომ უნდა შეიძინოთ ბინა თუ საოფისე ფართი ჩვენთან?

კომფორტი - თქვენს მყურდროებას არ დაარღვევს მეზობელ სართულზე მიმდინარე რემონტის ხმაური და მტვერი, რადგანაც მთლიანი კომპლექსი დასრულებული რემონტით ბარდება. თეთრი კარკასის შეძენისას ამ პროცესს სულ მცირე 3 წელი სჭირდება.

დაზოგილი რესურსები - ჩვენთან დაზოგავთ დროს, ენერგიასა და ფულს.

საუკეთესო ხარისხი - ჩვენი ბინებში არის ესპანური და ფრანგული კერამიკული ფილები, გერმანული წარმოების ალუმინის გარე კარ-ფანჯრები, კანადური წარმოების ნატურალური ხის პარკეტი და იტალიური წარმოების სამზარეულო.

უსაფრთხო გარემო - საცხოვრებელი ნაწილიწ ეზო იზოლირებულია და ჩაკეტილია საზოგადოებრივი კომპლექსისგან. მშვიდად იყავით, როდესაც თქვენი შვილი სათამაშოდ მარტო ჩავა ეზოში. 24-საათიანი დაცვის სამსახური და ვიდუო დომოფონები თქვენს მშვიდ მილსა და სასიამოვნო დასვენებას უზრუნველყოფს.

სავარჯიშო:

შექმენით რეკლამა შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ჰიპერმარკეტი, მომსახურება, დასვენება, ხარისხი, პროდუქტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ავეჯი, საზაფხულო გარდერობი, გარემო, კომფორტი, სწრაფი, სამზარეულო, საკვები, ფასდაკლება, შეთავაზება, სპეციალური.

სავარჯიშო:

დაწერეთ სარეკლამო ტექსტი შემდეგ თემაზე: სკოლაში ტარდება საქველმოქმედო საღამო, შემოსული თანხა მოხმარდება მოხუცთა თავშესაფარს. აღწერეთ ღონისძიება, მისი მნიშვნელობა და მოუწოდეთ სკოლის მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ აქციაში, გააკეთონ ნივთები, რომლებიც გაიყიდება აუქციონის წესით.
